

დამტკიცებულია

სპს „სკოლა-ლიცეუმი პრომეთეს“ დირექტორის
ბრძანებით.

დირექტორი: ნუნუ ბეიტრიშვილი

**სპს „სკოლა-ლიცეუმი პრომეთე“
შინაგანაწესი**

2023 წელი

თავი პირველი ზოგადი დებულებები

მუხლი 1.

1. რეგულირების საგანი

1.1. სპს „სკოლა-ლიცეუმი პრომეთეს“ (შემდგომში სკოლა-ლიცეუმი „პრომეთე“) შინაგანაწესი (შემდგომში – „შინაგანაწესი“) ადგენს:

- ❖ შრომის პირობების დაცვასთან დაკავშირებულ ზოგად ინსტრუქციებს;
- ❖ სასწავლო პროცესის მონიტორინგის ფორმებსა და ფარგლებს;
- ❖ სკოლა-ლიცეუმში სამუშაო კვირის ხანგრძლივობას;
- ❖ სამუშაო და დასვენების დროის ხანგრძლივობას;
- ❖ შრომითი ურთიერთობის წარმოშობას და პირობებს;
- ❖ შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესს;
- ❖ შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის/საბოლოო ანგარიშსწორების წესს;
- ❖ წახალისების ფორმებს, დისციპლინური გადაცდომის სახეებსა და, შესაბამისად, მათი დარღვევის შემთხვევაში გათვალისწინებულ სახდელს;
- ❖ მოსწავლეთა და მასწავლებელთა/კლასის დამრიგებელთა უფლებებსა და მოვალეობებს;

- ❖ მოსწავლეთა, მასწავლებელთა/სხვა დასაქმებულთა და მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა უფლებების დაცვის გარანტიებს;

- ❖ მოსწავლის ჩარიცხვის და გადაყვანის პირობებს;

- ❖ ექსკურსიის ორგანიზების წესებს;

- ❖ შრომითი დისკრიმინაციის აკრძალვის წესს;

- ❖ შრომის პირობების დაცვის წესს;

- ❖ განცხადების/საჩივრის განხილვის წესს.

1.2. პედაგოგის, ადმინისტრაციული პერსონალის და მოსწავლის მიერ ამ შინაგანაწესით განსაზღვრული ქცევის ნორმების დარღვევა იწვევს დისციპლინური დევნის დაწყებას შინაგანაწესით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით;

1.3. შინაგანაწესი ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციას, საქართველოს შრომის კოდექსს, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონს, ეროვნულ სასწავლო გეგმას, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 ივლისის №57/ნ ბრძანებით დამტკიცებულ მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 30 აგვისტო №79/ნ ბრძანებით დამტკიცებულ მოსწავლის ქცევის კოდექსს და საქართველოში მოქმედ სხვა საკანონმდებლო აქტებს;

1.4. შინაგანაწესი ვრცელდება სკოლა-ლიცეუმ „პრომეთეში“ დასაქმებულ პირებზე, მოსწავლეებსა და მათ მშობლებზე/მათ კანონიერ წარმომადგენლებზე, ასევე სკოლა-ლიცეუმ „პრომეთეს“ ტერიტორიაზე მყოფ ნებისმიერ პირზე;

1.5. შინაგანაწესი წარმოადგენს სკოლა-ლიცეუმ „პრომეთესა“ და დასაქმებულს შორის, ასევე, სკოლა-ლიცეუმ „პრომეთესა“ და მშობელს შორის დადებული ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 2.

2. შინაგანაწესის მიზანი

შინაგანაწესის მიზანია:

- 2.1. ხელი შეუწყოს სკოლა-ლიცეუმ „პრომეთეში“ დისციპლინის, ტოლერანტობისა და სხვათა პატივისცემის დამკვიდრებას, სწავლისათვის ისეთი გარემოსა და პირობების შექმნას, სადაც მოსწავლე შეძლებს ცოდნის მიღებას, უნარ-ჩვევების გამომუშავებასა და ღირებულებების ჩამოყალიბებას;
- 2.2. სკოლა-ლიცეუმ „პრომეთეში“ შექმნას პოზიტიური და განათლებისათვის ხელშემწყობი გარემო;
- 2.3. უზრუნველყოს ურთიერთგაგების, ჰარმონიისა და სხვაზე ზრუნვის ატმოსფეროს შექმნა;
- 2.4. უზრუნველყოს პედაგოგთა, ადმინისტრაციული პერსონალის და მოსწავლეთა ერთიანი ქცევის წესების დამკვიდრება;
- 2.5. უზრუნველყოს მოსწავლეებს, მშობლებს/კანონიერ წარმომადგენელს, დირექციასა და სკოლის სხვა თანამშრომლებს შორის ყველა სახის კონფლიქტის თავიდან აცილება;
- 2.6. უზრუნველყოს სასწავლო-ადმინისტრაციული პროცესის ეფექტურად მართვის მექანიზმის განსაზღვრა;
- 2.7. განსაზღვროს მასწავლებელთა უფლება-მოვალეობები;
- 2.8. უზრუნველყოს სკოლის თითოეული მოსწავლისა და თანამშრომლის უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნა;
- 2.9. განსაზღვროს მოსწავლეთა და მასწავლებელთა/სხვა თანამშრომელთა წახალისების ფორმები.

თავი მეორე
შრომის პირობების დაცვასთან დაკავშირებული ზოგადი
ინსტრუქციები

მუხლი 3.

3. შრომის დაცვისა და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ზოგადი ინსტრუქცია

- 3.1. სკოლა-ლიცეუმი ვალდებულია თანამშრომლებს შეუქმნას შრომის ჯანსაღი და უსაფრთხო გარემო-პირობები, შეასრულოს შრომის დაცვის წესები, განახორციელოს ღონისძიებები უსაფრთხოების ტექნიკისა და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის სფეროში;
- 3.2. სკოლა-ლიცეუმ „პრომეთეს“ ადმინისტრაცია პასუხისმგებელია მოსწავლეთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის, სკოლა-ლიცეუმში მათი ყოფნისა და სკოლა-ლიცეუმ „პრომეთეს“ მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში მონაწილეობის დროს;
- 3.3. დასაქმებულების, მოსწავლეების, მშობლებისა და სკოლა-ლიცეუმ „პრომეთეს“ ტერიტორიაზე მყოფი პირებისათვის შესასრულებლად სავალდებულოა

ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოებისა და შრომის პირობების დაცვის წესები, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს შრომის კოდექსით და სხვა ნორმატიული აქტებით;

3.4. სკოლა-ლიცეუმში უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმებია:

- ❖ უსაფრთხოების სამსახური - უსაფრთხოების ოფიცრები და დარაჯები
- ❖ სამინისტროსთან შეთანხმებული საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის წესი
- ❖ უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე ბრძანებით დამტკიცებული პირები;
- ❖ ვიდეოკამერები ეზოსა და ყველა სართულზე;
- ❖ თვალსაჩინო ადგილზე განთავსებული ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;
- ❖ ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილზე გამოკრული საევაკუაციო გეგმა.

მუხლი 4.

4. უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოთი უზრუნველყოფის უფლება

4.1. დამსაქმებელი ვალდებულია უზრუნველყოს დასაქმებული სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის მაქსიმალურად უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოთი;

4.2. დამსაქმებელი ვალდებულია დასაქმებულს გონივრულ ვადაში მიაწოდოს მის ხელთ არსებული სრული, ობიექტური და გასაგები ინფორმაცია ყველა ფაქტორის შესახებ, რომლებიც მოქმედებს დასაქმებულის სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე ან ბუნებრივი გარემოს უსაფრთხოებაზე;

4.3. დასაქმებულს უფლება აქვს, უარი განაცხადოს იმ სამუშაოს, დავალების ან მითითების შესრულებაზე, რომელიც ეწინააღმდეგება კანონს ან შრომის უსაფრთხოების პირობების დაუცველობის გამო აშკარა და არსებით საფრთხეს უქმნის მის ან მესამე პირის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, საკუთრებას ან ბუნებრივი გარემოს უსაფრთხოებას. დასაქმებული ვალდებულია დამსაქმებელს დაუყოვნებლივ შეატყობინოს იმ გარემოების შესახებ, რომლის გამოც იგი უარს ამბობს შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე;

4.4. დამსაქმებელი ვალდებულია დანერგოს შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრევენციული სისტემა და დასაქმებულს დროულად მიაწოდოს სათანადო ინფორმაცია შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკებისა და მათი პრევენციისთვის მისაღები ზომების, აგრეთვე საფრთხის შემცველ აღჭურვილობასთან მოპყრობის წესების შესახებ, ამასთანავე, აუცილებლობის შემთხვევაში დასაქმებული უზრუნველყოს პერსონალური დამცავი აღჭურვილობით, სახიფათო მოწყობილობა, ტექნოლოგიური პროგრესის შესაბამისად, დროულად შეცვალოს უსაფრთხო ან ნაკლებად სახიფათო მოწყობილობით და მიიღოს ყველა სხვა გონივრული ზომა დასაქმებულის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დასაცავად;

4.5. დამსაქმებელი ვალდებულია დასაქმებულს სრულად აუნაზღაუროს სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებული, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებით მიყენებული ზიანი და აუცილებელი მკურნალობის ხარჯები;

4.6. დამსაქმებელი ვალდებულია უზრუნველყოს ორსული ქალის ისეთი შრომისგან დაცვა, რომელიც საფრთხეს უქმნის მის ან ნაყოფის კეთილდღეობას, ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობას.

თავი მესამე

სასწავლო პროცესის მონიტორინგის ფორმები და ფარგლები

მუხლი 5.

5. სასწავლო პროცესის მონიტორინგის ფორმები და ფარგლები

5.1. სასწავლო პროცესის მონიტორინგს ახორციელებენ დირექტორი, დირექტორის მოადგილე სასწავლო აღმზრდელობით დარგში, ხარისხის მართვის მენეჯერი და სასწავლო პროცესის კოორდინატორი;

5.2. სკოლა-ლიცეუმ „პრომეთეს“ უფლება აქვს გამოიყენოს სასწავლო პროცესის მონიტორინგის შემდეგი ფორმები:

- ❖ მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შემოწმება სხვადასხვა სახის ტესტებით;

- ❖ საგაკვეთილო პროცესზე დასწრება;

- ❖ მშობელთა, მოსწავლეთა და მასწავლებელთა გამოკითხვა სპეციალური კითხვარებით და ა.შ.

თავი მეოთხე

სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, სამუშაო და დასვენების დრო

მუხლი 6.

6. სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, სამუშაო და დასვენების დრო

6.1. სამუშაო დრო წარმოადგენს კალენდარული დროის ნაწილს, რომლის განმავლობაშიც დასაქმებული ვალდებულია განახორციელოს თავისი სამსახურებრივი უფლება- მოვალეობანი;

6.2. სასწავლო წლის ხანგრძლივობა, არდადეგების დაწყების და დამთავრების დრო განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით და სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისად;

6.3. სკოლის თანამშრომლებისთვის საახალწლო არდადეგები გრძელდება 31 დეკემბრიდან 8 იანვრამდე;

6.4. სკოლა-ლიცეუმში დადგენილია კვირაში 5 დღიანი სასწავლო პროცესი.

6.5. საჭიროების შემთხვევაში, დასაშვებია 6 დღიანი სწავლებაც. კერძოდ, 6 დღიანი სწავლება დასაშვებია თუ:

6.5.1. სასწავლო გეგმიდან გამომდინარე სკოლა-ლიცეუმი „პრომეთე“ გადაწყვეტს ყოველდღიური საათობრივი ბადის განტვირთვას;

6.5.2. გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო სკოლა-ლიცეუმ „პრომეთეში“ გაცდება სასწავლო დღე/დღეები.

6.5.3. ობიექტური მიზეზების გამო სკოლა-ლიცეუმი „პრომეთე“ მიზანშეწონილად მიიჩნევა კვირის რომელიმე დღე განსაზღვროს დასვენების დღედ.

6.6. სკოლა-ლიცეუმში სასწავლო პროცესი იწყება 09:00 საათზე. გამონაკლისი შეიძლება დაშვებულ იქნას ექსტრემალური პირობების დროს (ყინვა, განსაკუთრებული სიცხეები, ფორსმაჟორული სიტუაცია და ა.შ.) როდესაც შესაძლოა ხანმოკლე ვადით შეიცვალოს გაკვეთილებისა და დასვენებების ხანგრძლივობა, გაკვეთილების დაწყების და დასრულების დრო, სასწავლო დროის შემცირების მიზნით. გაკვეთილების და გაკვეთილებს შორის შესვენებების ხანგრძლივობა განისაზღვრება სასკოლო სასწავლო გეგმით;

6.7. დასაქმებულები ვალდებული არიან სამუშაო დღეებში (ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით) სკოლა-ლიცეუმ „პრომეთეში“ გამოცხადდნენ სამუშაოს დაწყებამდე 15 წუთით ადრე. მათთვის სამუშაო კვირის ხანგრძლივობა განისაზღვრება არაუმეტეს 40 სამუშაო საათით (გარდა დარაჯისა), რომელშიც არ შედის შესვენების და დასვენების დრო.

6.8. დარაჯის/დაცვის სამუშაო დრო განისაზღვრება არაუმეტეს 48 სამუშაო საათით კვირაში, ცვლიანობის გრაფიკის შესაბამისად; ცვლებს შორის უწყვეტი დასვენების ხანგრძლივობა განისაზღვრება არანაკლებ 12 საათით;

6.9. მასწავლებელი ვალდებულია გაკვეთილის დაწყებამდე 15 წუთით ადრე გამოცხადდეს სამსახურში. მასწავლებლის სკოლა-ლიცეუმში ყოფნის დრო განისაზღვრება მასთან დადებული ხელშეკრულების შესაბამისად;

6.10. დამრიგებელი ვალდებულია სკოლაში გამოცხადდეს 08:30 სთ-ზე/დამრიგებლის სკოლა-ლიცეუმში ყოფნის დრო განისაზღვრება მასთან დადებული ხელშეკრულების შესაბამისად;

6.11. დასაქმებულთა სამუშაო კვირა განისაზღვრება 5 სამუშაო დღით, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სკოლა-ლიცეუმ „პრომეთეში“ დადგენილი იქნება 6 დღიანი სწავლება.

6.12. დარაჯის სამუშაო დრო განისაზღვრება მასთან ინდივიდუალურად შეთანხმებული ცვლიანობის გრაფიკით;

6.13. დასაქმებულს უფლება აქვს სამუშაო საათებში ჯამში 1 საათი გამოიყენოს კვებისა და დასვენებისათვის, რომელიც არ შედის სამუშაო დროში და შეუძლია გამოიყენოს დღის განმავლობაში ისე, რომ ხელი არ შეეშალოს სასწავლო პროცესს;

6.14. სამუშაოზე გამოცხადება სისტემატურად აღირიცხება დირექციის მიერ ელექტრონული/მატერიალური ტაბელით;

6.15. მასწავლებლის სამუშაო დრო მოიცავს საგაკვეთილო და არასაგაკვეთილო დროს. საგაკვეთილო დრო მოიცავს მასწავლებლის მიერ უშუალოდ გაკვეთილის წარმართვის დროს, ხოლო არასაგაკვეთილო დრო ეთმობა გაკვეთილისათვის მომზადებას, შემაჯამებელი სამუშაოების ანალიზს, საპროექტო საქმიანობას, პედაგოგიურ კვლევას, პროფესიულ განვითარებას, სწავლა-სწავლების ეფექტურობის გაზრდისა და საგანმანათლებლო მიზნებისათვის განსაზღვრულ სხვა საქმიანობას;

6.16. მასწავლებლის დასწრება კათედრისა და პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე, ასევე დირექციის მიერ ინიცირებულ ნებისმიერ თათბირზე, სავალდებულოა.

6.17. უსაფრთხოების სამსახურის თანაშრომელთა სამუშაო დრო და დასვენების დრო დეტალურად განსაზღვრულია აღნიშნული სტრუქტურული ერთეულის დებულებაში.

მუხლი 7.

7. შრომითი ურთიერთობის წარმოშობა

7.1. პედაგოგის, ადმინისტრაციის წევრის დატექნიკური პერსონალის შრომითი ურთიერთობა სკოლა-ლიცეუმ „პრომეთესთან“ წარმოიშობა ხელშეკრულების საფუძველზე;

7.2. სამუშაოზე მიღებისას დირექტორი უფლებამოსილია, მისაღებ პირს მოსთხოვოს იმ დოკუმენტაციის წარდგენა, რომელიც საჭიროა მისთვის გადაწყვეტილების მისაღებად;

7.3. თითოეული თანამშრომლისთვის, მისი მიღების მომენტიდან, იხსნება პირადი საქმე, რომელიც უნდა შეიცავდეს შემდეგ დოკუმენტაციას:

- ❖ მასწავლებლის პირადი საქმე: განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლს, ავტობიოგრაფიას/CV, პირადობის მოწმობის ასლს, ნასამართლეობის ცნობას, სქესობრივი დანაშაულის შესახებ ნასამართლეობის ცნობას, უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობა, კვალიფიკაციის ამაღლების დამადასტურებელი დოკუმენტების ასლს (არსებობის შემთხვევაში), მასწავლებლის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლს; 1 ცალ ფოტოსურათს $\frac{3}{4}$ დაბეჭდილს;

- ❖ მასწავლებლის გარდა სხვა თანამშრომელთა პირადი საქმე: განათლების დამადასტურებელ დოკუმენტის ასლს (არსებობის შემთხვევაში), ავტობიოგრაფიას/CV, პირადობის მოწმობის ასლს, სქესობრივი დანაშაულის შესახებ ნასამართლეობის ცნობას, უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობას, 1 ცალ ფოტოსურათს $\frac{3}{4}$ დაბეჭდილს, კვალიფიკაციის ამაღლების დამადასტურებელი დოკუმენტების ასლს (არსებობის შემთხვევაში).

7.4. ამ მუხლის 7.3. პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების გარდა, შესაძლებელია დასაქმებულს მოეთხოვოს სხვა დოკუმენტების წარდგენა, რომელიც დამსაქმებელს სჭირდება დასაკავებელ თანამდებობასთან პირის შესაბამისობის დასადგენად;

7.5. პედაგოგის გათავისუფლებისას ახალი პედაგოგის დანიშვნამდე მის ფუნქციებს ახორციელებს იმავე საგნის ან საგნობრივი ჯგუფის სხვა პედაგოგი;

7.6. დირექტორი უფლებამოსილია, პროფესიული დაოსტატების მიზნით, კონკრეტულ პირთან შეთანხმებით მიიღოს სტაჟიორი ან/და პრაქტიკანტი მასწავლებელი;

7.7. დასაქმებულის სამუშაოდან გათავისუფლების საკითხს კანონმდებლობის საფუძველზე წყვეტს დირექტორი, რისთვისაც გამოსცემს შესაბამის ბრძანებას;

7.8. დასაქმებული თავისუფლდება სამუშაოდან შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლისას. თუ მხარეებს სურთ სამუშაოს გაგრძელება, მათ შორის უნდა დაიდოს ახალი შრომითი ხელშეკრულება ან გაფორმდეს შეთანხმება ვადის გაგრძელების თაობაზე.

მუხლი 8.

8. სამსახურში დაგვიანებით გამოცხადება და გამოუცხადებლობის შეტყობინების წესი

8.1. წინასწარ ცნობილი მიზეზით, სამსახურში გამოუცხადებლობის ან სამუშაო დროის განმავლობაში სამსახურის დატოვების შემთხვევაში, დასაქმებული ვალდებულია წინასწარ, გონივრული ვადით ადრე, გააფრთხილოს დირექტორი გამოუცხადებლობის/სამუშაო დროის განმავლობაში სამსახურის დატოვების შესახებ, სამსახურში არყოფნის სავარაუდო პერიოდის თაობაზე, შესაბამისი აუცილებლობისა და მიზეზების მითითებით;

8.2. გადაუდებელი აუცილებლობისას (სამედიცინო ან ოჯახური პირობების გამო) სამსახურში გამოუცხადებლობის ან სამუშაო დროის განმავლობაში სამსახურის დატოვების შემთხვევაში, დასაქმებული ვალდებულია გონივრულ ვადაში აცნობოს დირექტორს გამოუცხადებლობის/სამუშაო დროის განმავლობაში სამსახურის დატოვების მიზეზი;

8.3. განსაკუთრებულ შემთხვევებში (ქორწინება, ოჯახის წევრის გარდაცვალება, ოჯახის წევრის მძიმე ავადმყოფობა, ოპერაცია ან უბედური შემთხვევა), დასაქმებულის მიერ სამუშაოს გაცდენა არაუმეტეს 5 სამუშაო დღისა, ჩათვლება საპატიოდ და მას არ დაუკავდება შრომის ანაზღაურება.

8.4. ავადმყოფობის შემთხვევაში, პედაგოგი/სხვა დასაქმებული პირი, ვალდებულია სკოლა-ლიცენზიაში წარმოადგინოს სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული სამედიცინო ცნობა (ფორმა N100)/საავადმყოფო ფურცელი, ან აღნიშნულის შესახებ შეატყობინოს სასწავლო პროცესის კოორდინატორს ან/და უშუალოდ დირექტორს.

8.5. დასაქმებულის გამოუცხადებლობის/სამუშაო დროის განმავლობაში სამსახურის დატოვების მიზეზის საპატიოდ ჩათვლის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს დირექტორი;

8.6. არასაპატიო მიზეზით სამსახურში გამოუცხადებლობა ან სამუშაო დროის განმავლობაში სამსახურის დატოვება განიხილება დისციპლინურ გადაცდომად და დასაქმებულზე გავრცელდება დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები, დასაქმებულს კი ხელფასიდან დაუკავდება გაცდენილი სამუშაო დროის შესაბამისი ანაზღაურება.

8.7. პედაგოგის სამსახურში გამოუცხადებლობის შემთხვევაში გაკვეთილს ატარებს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სხვა ან შემცვლელი პედაგოგი.

მუხლი 9.

9. ზეგანაკვეთური სამუშაო

9.1. ზეგანაკვეთურ სამუშაოდ მიიჩნევა მხარეთა შეთანხმებით თანამშრომლის მიერ სამუშაოს შესრულება დროის იმ მონაკვეთში, რომლის ხანგრძლივობა აღემატება კვირაში დასაქმებულის ნორმირებულ სამუშაო დროს;

9.2. ზეგანაკვეთური სამუშაო ანაზღაურდება მისთვის დამატებითი დასვენების დროის მიცემით.

მუხლი 10.

10. შრომის ანაზღაურების გაცემის დრო, ადგილი და წესი

დასაქმებულებზე შრომის ანაზღაურება გაიცემა შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში. ანაზღაურების გაცემა ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, დასაქმებულის პირად საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვით.

თავი მეხუთე
შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი

მუხლი 11.

11. საშვებულებო ანაზღაურება

დასაქმებულის საშვებულებო ანაზღაურება განისაზღვრება შვებულების წინა 3 თვის საშუალო ანაზღაურებიდან. თუ მუშაობის დაწყებიდან ან უკანასკნელი შვებულების შემდეგ ნამუშევარი დრო 3 თვეზე ნაკლებია – ნამუშევარი თვეების საშუალო ანაზღაურებიდან, ხოლო ყოველთვიური ფიქსირებული ანაზღაურების შემთხვევაში – ბოლო თვის ანაზღაურების მიხედვით.

მუხლი 12.

12. ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი

12.1. დასაქმებულს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შეიძლება მიეცეს ანაზღაურებადი შვებულება წელიწადში სულმცირე 24 სამუშაო დღის ვადით;

12.2. დასაქმებულის შვებულებაში წასვლის უფლება წარმოიშობა მუშაობის 11 თვის შემდეგ. დირექტორთან შეთანხმებით დასაქმებულს შვებულება შეიძლება მიეცეს ამ ვადის გასვლამდეც;

12.3. მხარეთა შეთანხმებით შეიძლება შვებულების ნაწილ-ნაწილ გამოყენება;

12.4. დასაქმებული შვებულებით სარგებლობის მოთხოვნით დირექტორს მიმართვს წერილობითი განცხადებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შვებულების კონკრეტული პერიოდი განსაზღვრულია შრომითი ხელშეკრულებით;

12.5. დასაქმებული ვალდებულია შვებულების დასრულებისთანავე დაუბრუნდეს სამუშაოს;

12.6. ამ მუხლით გათვალისწინებულ შვებულებაში არ ითვლება დროებითი შრომისუუნარობის პერიოდი, შვებულება ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო, შვებულება ახალშობილის შვილად აყვანის გამო და დამატებითი შვებულება ბავშვის მოვლის გამო;

12.7. ანაზღაურებადი შვებულებით სარგებლობის კონკრეტული ვადა შეიძლება განისაზღვროს შრომითი ხელშეკრულებით.

მუხლი 13.

13. ანაზღაურების გარეშე შვებულებების ხანგრძლივობა და მიცემის წესი

13.1. დასაქმებულს უფლება აქვს, ისარგებლოს ანაზღაურების გარეშე შვებულებით წელიწადში სულ მცირე 15 კალენდარული დღით;

13.2. თუ შრომითი ხელშეკრულებით ანაზღაურების გარეშე შვებულებით სარგებლობის კონკრეტული პერიოდი არ არის განსაზღვრული, შვებულების აღებისას დასაქმებული ვალდებულია 2 კვირით ადრე გააფრთხილოს დამსაქმებელი შვებულების აღების შესახებ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გაფრთხილება შეუძლებელია გადაუდებელი სამედიცინო ან ოჯახური პირობების გამო.

13.3. შვებულებით სარგებლობის კონკრეტული ვადა შეიძლება განისაზღვროს შრომითი ხელშეკრულებით.

მუხლი 14.

14. შვებულება ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო

14.1. დასაქმებულს თავისი მოთხოვნის საფუძველზე ეძლევა ორსულობისა და მშობიარობის გამო ანაზღაურებადი შვებულება 126 კალენდარული დღის ოდენობით, ხოლო მშობიარობის გართულების ან ტყუპის შობის შემთხვევაში – 143 კალენდარული დღის ოდენობით;

14.2. დასაქმებულს უფლება აქვს, ამ მუხლის 14.1 პუნქტით გათვალისწინებული შვებულება, თავისი შეხედულებისამებრ, გადაანაწილოს ორსულობისა და მშობიარობის შემდგომ პერიოდებზე;

14.3. დასაქმებულს თავისი მოთხოვნის საფუძველზე ეძლევა ბავშვის მოვლის გამო შვებულება 604 კალენდარული დღის ოდენობით, ხოლო მშობიარობის გართულების ან ტყუპის შობის შემთხვევაში – 587 კალენდარული დღის ოდენობით. ამ შვებულებიდან ანაზღაურებადია 57 კალენდარული დღე;

14.4. ამ მუხლის 14.3 პუნქტით გათვალისწინებული ბავშვის მოვლის გამო შვებულება შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ გამოიყენოს ბავშვის დედამ ან მამამ. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ორსულობისა და მშობიარობის გამო შვებულებით სარგებლობა ბავშვის დედის ექსკლუზიური უფლებაა, თუმცა ბავშვის მამას უფლება აქვს, ისარგებლოს აღნიშნული შვებულების იმ დღეებით, რომლებიც ბავშვის დედას არ გამოუყენებია;

14.5. ბავშვის მოვლის გამო შვებულების აღებისას დასაქმებული ვალდებულია 2 კვირით ადრე გააფრთხილოს დამსაქმებელი აღნიშნული შვებულების აღების შესახებ. დასაქმებული ორსულობისა და მშობიარობის გამო შვებულებასა და ბავშვის მოვლის გამო შვებულების ანაზღაურებად ნაწილს იყენებს თანამიმდევრობით, შესაბამისად, 183 ან 200 კალენდარული დღის განმავლობაში.

14.6. ამ მუხლის მიზნებისათვის ანაზღაურებად იგულისხმება სახელმწიფოს მიერ გაცემული ერთჯერადი დახმარება .

თავი მეექვსე

შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა/საბოლოო ანგარიშსწორება

მუხლი 15.

15. შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა დასაქმებულთან

15.1. დამსაქმებელს შეუძლია დასაქმებულთან შეწყვიტოს შრომითი ურთიერთობა შემდეგი საფუძვლებით:

15.1.1. ეკონომიკური გარემოებები, ტექნოლოგიური ან ორგანიზაციული ცვლილებები, რომლებიც აუცილებელს ხდის სამუშაო ძალის შემცირებას;

15.1.2. შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლა;

15.1.3. შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულება/დასრულება;

15.1.4. დასაქმებულის მიერ სამუშაოს საკუთარი ნებით, წერილობითი განცხადების საფუძველზე დატოვება;

15.1.5. მხარეთა წერილობითი შეთანხმება;

15.1.6. დასაქმებულის კვალიფიკაციის ან პროფესიული უნარ-ჩვევების შეუსაბამობა მის მიერ დაკავებულ თანამდებობასთან/შესასრულებელ სამუშაოსთან;

15.1.7. დასაქმებულის მიერ მისთვის ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებით ან/და შრომის შინაგანაწესით დაკისრებული ვალდებულების დარღვევა, თუ დასაქმებულის მიმართ ბოლო 1 (ერთი) კალენდარული წლის განმავლობაში უკვე გამოყენებულ იქნა ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებით ან/და შრომის შინაგანაწესით გათვალისწინებული დისციპლინური პასუხისმგებლობის რომელიმე ზომა;

15.1.8. დასაქმებულის მიერ მისთვის ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებით ან/და შრომის შინაგანაწესით დაკისრებული ვალდებულების უხეში დარღვევა;

15.1.9. ხანგრძლივი შრომისუუნარობა – თუკი შრომისუუნარობის ვადა აღემატება ზედიზედ 40 კალენდარულ დღეს, ან 6 თვის განმავლობაში საერთო ვადა აღემატება 60 კალენდარულ დღეს, ამასთანავე, დასაქმებულს გამოყენებული აქვს საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“ 31-ე მუხლით გათვალისწინებული შვებულება;

15.1.10. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15.2. შრომითი ურთიერთობის შეწყვეტისას დამსაქმებელი ვალდებულია დასაქმებულთან მოახდინოს საბოლოო ანგარიშსწორება არა უგვიანეს 7 კალენდარული დღისა.

15.3. შრომითი ხელშეკრულების დამსაქმებლის ინიციატივით შეწყვეტისას იგი ვალდებულია დასაქმებულს აუნაზღაუროს გამოუყენებელი შვებულება შრომითი ურთიერთობის ხანგრძლივობის პროპორციულად.

თავი მეშვიდე **წახალისების ფორმები**

მუხლი 16.

16. თანამშრომელთა წახალისების ფორმები

16.1. დღესასწაულებთან დაკავშირებით, მოტივაციის ამაღლების მიზნით, შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის, აგრეთვე დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის ან მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის, საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის ან/და სხვა დასაბუთებული მიზეზის შემთხვევაში, დამსაქმებელი უფლებამოსილია დასაქმებულთა მიმართ გამოიყენოს წახალისების შემდეგი ფორმები:

- ❖ მაღლობის გამოცხადება;
- ❖ სიგელით დაჯილდოება;
- ❖ ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება;
- ❖ ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა;
- ❖ პროფესიული განვითარებისათვის დაფინანსება/თანადაფინანსება.

16.2. დასაქმებულის წახალისების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს დირექტორი, რაზეც გამოიცემა ბრძანება;

16.3. დასაქმებულის მიმართ შეიძლება ერთდროულად გამოყენებული იქნეს წახალისების რამდენიმე ფორმა.

მუხლი 17.

17. მოსწავლეთა წახალისების ფორმები

17.1. სწავლაში მიღწეული მაღალი შედეგებისა და სხვადასხვა საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისათვის, ასევე, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებისთვის დამატებითი სტიმულის მისაცემად, მოსწავლე შესაძლებელია დაჯილდოვდეს:

- 17.1.1. სიგელით;
- 17.1.2. დიპლომით;
- 17.1.3. ფასიანი საჩუქრით;
- 17.1.4. სხვა ჯილდოებით (ფასდაკლება სწავლის საფასურზე, ფულადი სტიპენდია, ექსკურსიის დაფინანსება).

17.2. მოსწავლეთა წახალისების 17.1.4. პუნქტით განსაზღვრული სისტემა მოქმედებს მე-7-დან მე-12 კლასის ჩათვლით და ეფუძნება აკადემიურ შედეგებსა და წარმატებებს ეროვნულ ოლიმპიადებზე წინა სასწავლო წლის განმავლობაში;

17.3. თუ მოსწავლე დააკმაყოფილებს აკადემიური მოსწრების კრიტერიუმებს და ასევე ექნება წარმატებები ეროვნულ ოლიმპიადებზე, წახალისების მიზნით დაწესებული პრიზები დაუჯამდება;

17.4. მოსწავლის წახალისების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს დირექტორი, რაზეც გამოიცემა ბრძანება;

17.5. მოსწავლის მიმართ შეიძლება ერთდროულად გამოყენებული იქნეს წახალისების რამდენიმე ფორმა.

მუხლი 18.

18. მოსწავლეთა წახალისება აკადემიური მოსწრების მიხედვით და ოლიმპიელი

18.1. მე-7-დან მე-12 კლასის ჩათვლით, დგება მოსწავლეთა საერთო რეიტინგი წინა სასწავლო წელს მიღებული შედეგების საფუძველზე; რეიტინგები დგება თითოეული კლასის მიხედვით და ამ კლასის ყველა პარალელის მოსწავლეთა შედეგების მიხედვით;

18.2. რეიტინგი დგება შემდეგი პრინციპით: ანგარიშდება მოსწავლის ყველა აკადემიური საგნის წლიური ნიშნის საშუალო, რეიტინგულ წერებში მიღებული ბალების საშუალო და ითვლება მიღებული შედეგების საშუალო არითმეტიკული, რომელიც მრგვალდება მთელის სიზუსტით. გამოთვლილი შედეგი წარმოადგენს მოსწავლის წლის რეიტინგს ;

18.3. რეიტინგული წერის შედეგებს, რეიტინგის შედგენის მიზნით, ენიჭება ისეთივე წონა, როგორც წლიურ ნიშნებს;

18.4. აკადემიური მოსწრების მიხედვით მოსწავლეთა წახალისების დეტალური პირობები დგინდება დირექტორის ბრძანებით.

18.5. ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადებზე მიღებული წარმატებების შემთხვევაში მოსწავლის წახალისება მოხდება დირექტორის ბრძანებით დადგენილი წესით.

თავი მერვე **მოსწავლეთა უფლებები და მოვალეობები**

მუხლი 19.

19. სკოლა-ლიცეუმ „პრომეთეს“ მოსწავლეთა უფლებები

სკოლა-ლიცეუმ „პრომეთეს“ მოსწავლეს უფლება აქვს:

19.1. თანაბარ პირობებში, დისკრიმინაციის გარეშე, დადგენილი წესით, სასკოლო დროს და/ან სკოლის ტერიტორიაზე ისარგებლოს ამ მუხლით განსაზღვრული სკოლის მიერ აღიარებული ყველა უფლებით და თავისუფლებით, შესაძლებლობებით, რაც აღიარებულია „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით;

19.2. მიიღოს სრული ზოგადი განათლება ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, კანონმდებლობით დადგენილი წესით;

19.3. ისარგებლოს სასკოლო ბიბლიოთეკით, ბუფეტით, კომპიუტერული ტექნოლოგიების/ისტ-ის და სხვა კაბინეტ-ლაბორატორიებით, სასკოლო რესურსების სარგებლობით დადგენილი წესის შესაბამისად;

19.4. დაცული იყოს არასათანადო მოპყრობის, უყურადღებობისა და შეურაცხყოფისაგან;

19.5. ფლობდეს ინფორმაციას თავისი უფლებებისა და თავისუფლებების, აგრეთვე მათი შეზღუდვის საფუძველების შესახებ;

19.6. თავისი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად გაასაჩივროს მასწავლებლისა და სკოლის უკანონო და სხვა არამართლზომიერი ქმედებები, აგრეთვე მიიღოს მიყენებული ზიანის სრული ანაზღაურება;

19.7. ნებისმიერი ფიზიკური ან მორალური შეურაცხყოფის შემთხვევაში დაუყოვნებლივ წერილობით მიმართოს დირექციას და მოითხოვოს შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება;

19.8. გამოთქვას საკუთარი აზრი და მოითხოვოს მისი პატივისცემა. დასაბუთებული უარი თქვას ფორმის ტარებაზე, რასაც განიხილავს დირექტორი და მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას;

19.8.1. საქველმოქმედო მიზნებისათვის, დადგენილი წესით, მოიზიდოს ნებაყოფლობითი შემოწირულობები;

19.9. კანონით დადგენილი წესით აქვს გაერთიანების უფლება (შექმნას თანაკლასელთა კლუბი ან გახდეს წევრი ამგვარი გაერთიანების);

19.10. კანონით დადგენილი წესით აქვს რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლება, ნებისმიერი ან არც ერთი რწმენისა თუ მსოფლმხედველობის ნებაყოფლობით არჩევის და შეცვლის უფლება;

19.11. აქვს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება (არ შეიძლება მოეთხოვოს, გაამჟღავნოს ინფორმაცია თავის პირად ცხოვრებაზე. მოსწავლის პერსონალური მონაცემების შეგროვებისას და შენახვისას სკოლა-ლიცეუმი „პრომეთე“ ვალდებულია იხელმძღვანელოს „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონითა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნებით);

19.12. მოსწავლე ასევე სარგებლობს ყველა იმ უფლებითა და თავისუფლებით, რაც აღიარებულია „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით;

19.13. მოსწავლის გაკვეთილებიდან გათავისუფლება, მშობლის თხოვნის საფუძველზე, შესაძლებელია დირექტორის თანხმობის შემთხვევაში, რის შესახებაც უნდა ეცნობის მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს.

მუხლი 20.

20. სკოლა-ლიცეუმ „პრომეთეს“ მოსწავლეთა მოვალეობები

20.1. მოსწავლე ვალდებულია დაემორჩილოს შინაგანაწესს როდესაც იგი:

- ❖ იმყოფება სკოლის ტერიტორიაზე;
- ❖ ესწრება გაკვეთილებს;
- ❖ სკოლის სახელით მონაწილეობს სხვადასხვა ღონისძიებაში ან სკოლის მიერ ორგანიზებულ სხვა აქტივობებში.

20.2. მოსწავლე ემორჩილება დირექტორის, მასწავლებლის, სკოლაში დასაქმებული სხვა პირისა და უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლის კანონიერ მითითებებს;

20.3. მოსწავლე ვალდებულია სკოლაში გამოცხადდეს გაკვეთილების დაწყებამდე 5 წთ-ით ადრე (მორიგე მოსწავლეები უნდა გამოცხადდნენ გაკვეთილების დაწყებამდე 15 წთ-ით ადრე);

20.4. მოსწავლე ვალდებულია დროულად გამოცხადდეს სკოლა-ლიცეუმ „პრომეთეს“ მიერ ორგანიზებულ საგანმანათლებლო ღონისძიებებზე;

20.5. მოსწავლე ვალდებულია მაქსიმალურად გამოავლინოს თავისი შესაძლებლობები (შეასრულოს საშინაო სამუშაოები, აქტიურად იყოს ჩართული საგაკვეთილო პროცესში).

20.6. მოსწავლე ვალდებულია სკოლა-ლიცეუმში გამოცხადდეს სასწავლო ნივთებითა და შინაგანაწესით დადგენილი სასკოლო ფორმით;

20.7. მოსწავლე ვალდებულია გაუფრთხილდეს და არ დააზიანოს საკუთარი, სხვა პირთა და სკოლის ქონება (სკოლის შენობა, არსებული მოწყობილობები და აღჭურვილობა). სკოლის ქონების დაზიანების შემთხვევაში მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი ვალდებულია აანაზღაუროს მიყენებული ზიანი;

20.8. მოსწავლე ვალდებულია ხელი არ შეუშალოს მასწავლებელს და სხვა მოსწავლეებს სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას;

20.9. მოსწავლე ვალდებულია პატივი სცეს სხვის აზრსა და აკადემიურ ნაშრომს, სხვისი ინტელექტუალური საქმიანობის შედეგად შექმნილ პროდუქტს და არ გაასაღოს ის თავისად;

20.10. მოსწავლე ვალდებულია სკოლის ტერიტორიაზე და სასწავლო დროს არ გაწიოს რელიგიური და პოლიტიკური პროპაგანდა;

20.11. მოსწავლე ვალდებულია დაიცვას სისუფთავე სკოლაში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე;

20.12. შინაგანაწესით გათვალისწინებული ნებისმიერი პუნქტის მის მიერ დარღვევის შემთხვევაში, მოსწავლე ვალდებულია აღნიშნული დარღვევის შესახებ წერილობით შეატყობინოს დირექციას;

მუხლი 21.

21. მოსწავლის ჩაცმის წესი და გარეგნული იერსახე

21.1. სკოლა-ლიცეუმ „პრომეთეს“ მოსწავლე ვალდებულია სკოლაში გამოცხადდეს ფორმით:

21.1.1. ვაჟები – სკოლის მიერ არჩეული სეზონური ფორმით (მუქი ლურჯი შარვლით/ბრიჯით და პიჯაკით, თეთრი პერანგით, შინდისფერი ან ლურჯი ჰალსტუხით. ზამთრის სეზონზე ლურჯი ან შავი პულოვერით).

21.1.2. გოგონები I-დან III კლასის ჩათვლით მუქი ლურჯი კაბა-სარაფანით/შარვლით, პიჯაკით, თეთრი პერანგით, შინდისფერი ჰალსტუხით;

21.1.3. გოგონები IV-დან XII კლასის ჩათვლით მუქი ლურჯი ქვედა კაბით (მუხლამდე ან მუხლს ქვევით)/შარვლით, მუქი ლურჯი პიჯაკით, თეთრი პერანგით, შინდისფერი ან ლურჯი ჰალსტუხით.

21.2. მოსწავლე ვალდებულია სკოლაში გამოცხადდეს შესაფერისი ვარცხნილობით, რომელიც ხელს არ შეუშლის საგანმანათლებლო პროცესის ნორმალურად მიმდინარეობას;

21.3. სკოლა-ლიცეუმში იკრძალება ყველა ის სამოსი და აქსესუარი, რომელიც ხელს შეუშლის საგანმანათლებლო პროცესის ნორმალურად მიმდინარეობას.

მუხლი 22.

22. მონიტორინგის წესები სასკოლო ფორმის ტარებაზე

22.1. მოსწავლეთა მიერ სასკოლო ფორმის ტარებაზე პასუხისმგებელია კლასის დამრიგებელი, რომელიც გაკვეთილების დაწყებამდე ახდენს მონიტორინგს და ფორმის ტარების წესის დარღვევის აღმოჩენისას მითითებას აძლევს მოსწავლეს, აფიქსირებს

შენიშვნების ჟურნალში, რომელსაც მოსწავლე ეთანხმება ხელმოწერით. აღნიშნულის შესახებ კლასის ხელმძღვანელი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მოსწავლის მშობელს (კანონიერ წამომადგენელს);

22.2. კლასის დამრიგებელი ვალდებულია მე-3 გაკვეთილის დამთავრებამდე, სასკოლო ფორმის ტარების წესის დარღვევის შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს სასწავლო პროცესის კოორდინატორს;

22.3. უსაფრთხოების სამსახური სასკოლო ფორმის ტარების წესის დარღვევის დამოუკიდებლად აღმოჩენის შემთხვევაში, აფიქსირებს დარღვევას და აცნობებს სასწავლო პროცესის კოორდინატორს;

22.4. სასწავლო პროცესის კოორდინატორი აღრიცხავს სასკოლო ფორმის ტარების წესის ყველა დარღვევას და სტატისტიკას აწვდის სკოლის დირექტორს. თუ უსაფრთხოების სამსახურის ან სასწავლო პროცესის კოორდინატორის მხრიდან სასკოლო ფორმის ტარების წესის დარღვევის დამოუკიდებლად დაფიქსირება მოხდა მე-3 გაკვეთილის შემდეგ და კლასის დამრიგებელს გატარებული არ აქვს შესაბამისი ღონისძიებები, კლასის დამრიგებელი ვალდებულია ახსნა-განმარტება წარადგინოს სასწავლო პროცესის კოორდინატორთან, რომელიც ახსნა-განმარტებას გადასცემს სკოლის დირექტორს შემდგომი რეაგირებისათვის.

თავი მეცხრე **მასწავლებელთა უფლებები და მოვალეობები**

მუხლი 23.

23. სკოლა-ლიცეუმ „პრომეთეს“ მასწავლებელთა უფლებები

მასწავლებელს უფლება აქვს:

23.1. თანაბარ პირობებში, დისკრიმინაციის გარეშე, დადგენილი წესით, სასკოლო დროს ან სკოლის ტერიტორიაზე ისარგებლოს „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით დაცული და სკოლის მიერ აღიარებული ყველა უფლებით, თავისუფლებითა და საშუალებებით;

23.2. ფლობდეს ინფორმაციას თავისი უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ, აგრეთვე მათი შეზღუდვის საფუძვლების შესახებ და შეზღუდვის არსებობის შემთხვევაში, მიიღოს განმარტება შეზღუდვის საფუძვლების თაობაზე;

23.3. თავისი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად, გაასაჩივროს უკანონო და სხვა არამართლზომიერი ქმედებები;

23.4. საქველმოქმედო მიზნებისათვის, დადგენილი წესით, მოიზიდოს ნებაყოფლობითი შემოწირულობები;

23.5. ისარგებლოს სწავლის, სწავლებისა და კვლევის აკადემიური თავისუფლების იმ ფარგლებით, რომელიც არ ეწინააღმდეგება ეროვნული სასწავლო გეგმით დასახული მიზნების მიღწევას;

23.6. წინასწარი შეტყობინების საფუძველზე, სკოლა-ლიცეუმ „პრომეთეს“ ტერიტორიაზე კანონით დადგენილი წესით ისარგებლოს შეკრების უფლებით;

23.7. კანონით დადგენილი წესით შექმნას გაერთიანებები და გაწევრიანდეს მათში;

23.8. ისარგებლოს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და პერსონალური

მონაცემების დაცვის მოთხოვნის უფლებით;

23.9. ისარგებლოს კანონით დადგენილი წესით რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლების უფლებით, ნებისმიერი ან არც ერთი რწმენისა თუ მსოფლმხედველობის ნებაყოფლობით არჩევის და შეცვლის უფლებით;

23.10. კლასის ხელმძღვანელისაგან მოითხოვოს თავისი შენიშვნების და რეკომენდაციების გათვალისწინებით შესაბამისი ღონისძიებების ჩატარება (მაგ.: კლასის ხელმძღვანელის რეგულში ჩაწერილი ასეთი შენიშვნების გასწვრივ რეაგირების აღმნიშვნელი ჩანაწერები; მშობლებთან შეხვედრის ორგანიზება და სხვა);

23.11. დირექციისგან მოითხოვოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვა და ისეთი სამუშაო ატმოსფეროს შექმნა, რომელიც აუცილებელია ნორმალური საგაკვეთილო პროცესის წარმართვისათვის;

23.12. ისარგებლოს ყველა იმ უფლებით და თავისუფლებით, რაც გარანტირებულია „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით.

მუხლი 24.

24. სკოლა-ლიცეუმ „პრომეთეს“ მასწავლებელთა მოვალეობები

მასწავლებელი ვალდებულია:

24.1. განუხრელად და კეთილსინდისიერად შეასრულოს სკოლა-ლიცეუმ „პრომეთეს“ შინაგანაწესით, დებულებით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული მოთხოვნები და მკაცრად დაიცვას მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსი;

24.2. პროფესიული საქმიანობის შესრულებისას იყოს დამოუკიდებელი, კეთილსინდისიერი და მიუკერძოებელი;

24.3. სკოლის დირექციასთან, თანამშრომლებთან, მოსწავლეებთან და მშობლებთან ურთიერთობისას დაიცვას სკოლა-ლიცეუმ „პრომეთეს“ მიერ დადგენილი ურთიერთობის წესები;

24.4. დროულად და ზუსტად აწარმოოს სასწავლო პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტაცია. დროულად შეიტანოს ელექტრონულ ჟურნალში მოსწავლეთა მიმდინარე და სემესტრული შეფასებები დადგენილი რეგულაციების მიხედვით, შენიშვნები და რეკომენდაციები - კლასის დამრიგებლის სპეციალურ ჟურნალში/ელექტრონულ ჟურნალში;

24.5. მუდმივად იზრუნოს საკუთარ უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე, მოწინავე გამოცდილების შესწავლა-დანერგვაზე, მათ შორის, კოლეგებისა და დირექციის დახმარებით;

24.6. ეფექტურად გამოიყენოს პედაგოგიური საქმიანობისთვის განკუთვნილი დრო, სკოლაში არსებული ყველანაირი რესურსი (ადამიანური, მატერიალური, მათ შორის ტექნიკური ელექტრონული რესურსი და სხვა საშუალებები) ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად, მოსწავლეთა ცოდნისა და უნარ ჩვევების განსავითარებლად;

24.7. სკოლა-ლიცეუმ „პრომეთეს“ ტერიტორიაზე და სასწავლო პროცესში მიიღოს

გადაწყვეტილება ყოველგვარი სახის დისკრიმინაციის გარეშე;

24.8. დროულად შეატყობინოს დამრიგებელს, სასწავლო პროცესის კოორდინატორს, უსაფრთხოების ოფიცერს/დირექციას მოსწავლის მხრიდან დისციპლინური დარღვევის შესახებ და არ დაუშვას მოსწავლეთა მხრიდან შინაგანაწესით დადგენილი წესების დარღვევა;

24.9. სისტემატიურად იზრუნოს მოსწავლეთა სწავლა-სწავლების მაღალ შედეგებზე და მოტივაციის ამაღლებაზე (კლასის დამრიგებელთან ერთად);

24.10. იმორიგეოს წინასწარ დადგენილ დღეებში ;

24.11. გაუფრთხილდეს სკოლა-ლიცეუმ „პრომეთეს“ ქონებას, დაიცვას უსაფრთხოების წესები;

24.12. შეასრულოს დირექციის, საგნობრივი კათედრების სამუშაო გეგმით გათვალისწინებული მითითებები და დავალებები;

24.13. არ გამოიყენოს პროფესიული ან ინსტიტუციური პრივილეგიები პირადი მიზნებისათვის;

24.14. მიზნობრივად გამოიყენოს სკოლის რესურსები;

24.15. აქტიურად იზრუნოს ნიჭიერი და შემოქმედი მოსწავლეების გამოსავლენად და მათ ჩასართავად საგნობრივ ოლიმპიადებსა და კონფერენციებში;

24.16. საქმიანობისას იყოს ყოველთვის პუნქტუალური და ჩაიცვას მოწესრიგებულად და აკადემიურად;

24.17. იმეტყველოს ეთიკური ნორმების შესაბამისად, გამართული და მოსწავლეებისათვის გასაგები ენით;

24.18. დაიცვას მოსწავლეებთან, მშობლებთან, მასწავლებლებთან და სკოლაში დასაქმებულ სხვა პირებთან დაკავშირებული ინფორმაციის კონფიდენციალობა;

24.19. ხელი შეუწყოს მოსწავლეებში დემოკრატიული და პატრიოტული ღირებულებების ჩამოყალიბებას;

24.20. თავისი პროფესიული საქმიანობისას, სამართლიანობის, ურთიერთპატივისცემის, ადამიანის უფლებათა დაცვის, ჯანსაღი ცხოვრების წესისა და გარემოს დაცვის მაგალითი მისცეს მოსწავლეებს;

24.21. გაკვეთილის გაცდენის ან დაგვიანების შემთხვევაში წინასწარ გააფრთხილოს დირექცია, რათა დროულად მოხდეს მისი შეცვლა სხვა პედაგოგით;

24.22. სკოლაში გამოცხადდეს გაკვეთილის დაწყებამდე 15 წუთით ადრე და დროულად შევიდეს გაკვეთილზე წინასწარ მომზადებული საგაკვეთილო გეგმით;

24.23. ერთი მოსწავლის პოზიტიური თუ ნეგატიური მხარეებისა და აკადემიური მოსწრების შესახებ არ ისაუბროს სხვისი თანდასწრებით;

24.24. პერიოდულად დაესწროს მშობელთა კრებებს კლასის დამრიგებლის თხოვნით ან საკუთარი ინიციატივით;

24.25. იზრუნოს თითოეული მოსწავლის პიროვნულ განვითარებასა და მისი მოქალაქეობრივი ცნობიერების ჩამოყალიბებაზე, დაიცვას მოსწავლის უფლებები და ინტერესები;

24.26. მოემზადოს თითოეული გაკვეთილისათვის და ეფექტურად განახორციელოს

სასწავლო პროცესი;

24.27. შეაფასოს მოსწავლეების პროგრესი და მოახდინოს შედეგების შესახებ დამრიგებლის/დირექციის/მშობლის ინფორმირება;

24.28. დაამყაროს პარტნიორული ურთიერთობა მოსწავლეთა მშობლებთან და მოსწავლის აღზრდისა და განვითარების პროცესში ჩართულ სხვა პირებთან;

24.29. იზრუნოს სკოლა-ლიცეუმ „პრომეთეს“ განვითარებაზე;

24.30. დაიცვას მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსი;

24.31. აანაზღაუროს მის მიერ სკოლა-ლიცეუმისათვის მიყენებული მატერიალური ზიანი, ასევე პასუხი აგოს ნებისმიერი ზიანის ან/და დანაკარგისათვის, რომელიც მიადგება დამსაქმებელს, მისთვის მინდობილი ქონების არამიზნობრივი გამოყენების შედეგად ან დაუდევრობით;

24.32. დროულად აცნობოს მშობელს მისი შვილის სწავლა-აღზრდასთან დაკავშირებული ნებისმიერი პრობლემის შესახებ;

24.33. მოსწავლის მიერ გაკვეთილის გაცდენის ან გაკვეთილზე დაგვიანების შესახებ აცნობოს კლასის დამრიგებელს/მშობელს ან/და დირექციას;

24.34. გაკვეთილის მსვლელობის დროს არ გამოიყენოს და გამორთული ჰქონდეს მობილური ტელეფონი ან სხვა მსგავსი ელექტრონული მოწყობილობა, რომელმაც შეიძლება ხელი შეუშალოს სასწავლო პროცესს;

24.35. შეასრულოს დამატებითი სამუშაო მოსწავლეებთან სწავლების შედეგების გაუმჯობესებამდე, თუ დამსაქმებელი თვლის, რომ მასწავლებელი სწავლებისას ვერ აღწევს სასურველ შედეგებს კვირისათვის გათვალისწინებული საათების ფარგლებში;

24.36. დამსაქმებლის მოთხოვნის შემთხვევაში, სხვა მასწავლებლის მიერ გაკვეთილის გაცდენისას, ჩაატაროს შესაბამისი გაკვეთილი;

24.37. პატივი სცეს, გაუფრთხილდეს და დაიცვას სკოლა-ლიცეუმ „პრომეთეს“ საქმიანი რეპუტაცია;

24.38. სასწავლო წლის დასაწყისში შეადგინოს საგნობრივი სასწავლო გეგმა (კურიკულუმი);

24.39. შეასრულოს „უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესითა და პირობებით“ გათვალისწინებული ვალდებულებები.

მუხლი 25.

25. სკოლა-ლიცეუმ „პრომეთეს“ კლასის დამრიგებელთა უფლებები და მოვალეობები

25.1. კლასის დამრიგებელი უფლებამოსილია:

25.1.1. მოითხოვოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებების დაცვა;

25.1.2. მოსთხოვოს საგნის მასწავლებლებს ელექტრონული ჟურნალის ნორმალურად, სისტემატურად და დროულად შევსება (ელექტრონული ჟურნალის შევსების წესების გათვალისწინებით);

25.1.3. მოსთხოვოს მოსწავლესა და მის კანონიერ წარმომადგენელს სკოლის შინაგანაწესის შესრულება და დაცვა.

25.2. სკოლა-ლიცეუმ „პრომეთეს“ დამრიგებლის მოვალეობებია:

25.2.1. დაეხმაროს მოსწავლეებს ზოგადი განათლების მიზნების მიღწევაში, პიროვნული, ზნეობრივი, გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობების განვითარებაში;

25.2.2. ხელი შეუწყოს მოსწავლეებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას;

25.2.3. მოსწავლეებს განუვითაროს დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერება;

25.2.4. დაეხმაროს სადამრიგებლო კლასის მოსწავლეებს ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობების გააზრებაში;

25.2.5. უზრუნველყოს თანაკლასელთა შორის ურთიერთნდობის, ურთიერთპატივისცემისა და მეგობრული ურთიერთობის ჩამოყალიბება;

25.2.6. უზრუნველყოს კლასის, სასკოლო და სხვა საგანმანათლებლო ღონისძიებების (ექსკურსია, ლაშქრობა, კლასის სტუმრობა კინოში, თეატრში, მუზეუმში) მოსწავლეების აქტიური ჩართულობით მოწყობა-ორგანიზება, რეგულაციების დაცვით;

25.2.7. სათანადო პირობების შექმნით, ხელი შეუწყოს მოსწავლეთა ინტერესების, ნიჭისა და პოტენციური ძალების გამოვლენას;

25.2.8. მუდმივად იზრუნოს კლასში მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების ხარისხის ამაღლებაზე, ამ მიზნით:

- ❖ ჩაატაროს კლასის საათი;

- ❖ დაესწროს გაკვეთილებს;

- ❖ მიიღოს და თავადაც გაუწიოს რეკომენდაციები საგნის პედაგოგებს;

- ❖ მოიწვიოს მშობელთა კრება, საგნის პედაგოგებთან შესახვედრად და სხვა

საორგანიზაციო საკითხების მოსაგვარებლად, ყველა სასკოლო რეგულაციის დაცვით, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

25.2.9. გაკვეთილებს შორის, შესვენების პერიოდში მუდმივად აკონტროლოს მოსწავლეთა მორიგეობა, იზრუნოს დისციპლინასა და უსაფრთხოებაზე. აღკვეთოს მოსწავლეთა მიერ გათბობის სისტემის ან გათბობის მოწყობილობების თვითნებური მართვა;

25.2.10. მოსწავლესა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს გააცნოს მათი უფლება-მოვალეობები, შინაგანაწესი, მოსწავლის ქცევის კოდექსი და სხვა საჭირო შიდა აქტები;

25.2.11. შეასრულოს შუამავლის როლი მოსწავლეს, სასკოლო საზოგადოებას, მშობელსა და მასწავლებელს შორის პრობლემების წარმოქმნის შემთხვევაში და დაეხმაროს მათ აღნიშნული საკითხის მოგვარებაში;

25.2.12. მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით უზრუნველყოს ბავშვის ან მისი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის სოციალურ-დემოგრაფიული მონაცემების შესახებ ინფორმაციის შეკრება;

25.2.13. რეგულარულად, მშობელთა კრებებზე (ინდივიდუალურად), ელექტრონული ფოსტით, ელექტრონული ჟურნალით, სატელეფონო ზარით, პირადი შეხვედრებისას თუ ღია კარის დღეებზე, ასევე სემესტრის ბოლოს მიაწოდოს მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს ინფორმაცია მისი შვილის აკადემიური მიღწევის, დისციპლინის, მიმდინარე სასკოლო პროცესების, პრობლემებისა და წარმატებების შესახებ;

25.2.14. სემესტრულად, საგნის მასწავლებლებისაგან მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, სადამრიგებლო კლასის თითოეული მოსწავლის აკადემიური მიღწევის, გაკვეთილებზე დასწრებისა და ქცევის ანალიზის საფუძველზე, დაწეროს მოსწავლის ზოგადი დახასიათება (მოსწავლის კოგნიტურ-შემეცნებითი, ფიზიკური, ემოციური, სოციალური უნარების, მათი სასკოლო თუ სხვა სახის ღონისძიებებში მონაწილეობის, აკადემიური მოსწრების შედეგების ძლიერი-სუსტი მხარეებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით);

25.2.15. რეგულარულად, წინასწარ განსაზღვრული განრიგის მიხედვით, ჩაატაროს დამრიგებლის საათი;

25.2.16. მოსწავლის სხვა სკოლაში გადასვლის შემთხვევაში უზრუნველყოს ინფორმაციისა და შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადება (მოსწავლის აკადემიური მიღწევებისა და გაკვეთილებზე დასწრების შესახებ პირად საქმეში შესატანად);

25.2.17. სასწავლო წლის ბოლოს შეავსოს ყველა მოსწავლის პირად საქმეში აკადემიური მოსწრების შესახებ ინფორმაცია და სხვა საჭირო დოკუმენტაცია (ასეთის საჭიროების შემთხვევაში);

25.2.18. ორგანიზება გაუწიოს საგნის მასწავლებლების მიერ ელექტრონული ჟურნალის სრულყოფილად შევსებას;

25.2.19. გაუფრთხილდეს სადამრიგებლო კლასის ოთახში არსებულ ინვენტარს;

25.2.20. მოსწავლის მიერ სკოლის გაცდენის ან გაკვეთილებზე დაგვიანების შემთხვევაში დაუყოვნებლივ დაუკავშირდეს მშობელს, დაადგინოს გაცდენისა და დაგვიანების მიზეზი და საჭიროებისამებრ აცნობოს სასწავლო პროცესის კოორდინატორს/დირექციას;

25.2.21. იზრუნოს მოსწავლეთა მხრიდან გაკვეთილების უმიზეზოდ გაცდენა-დაგვიანებების შემცირება-აღკვეთაზე;

25.2.22. ხელი შეუწყოს მოსწავლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ სწავლის ქირის დროულად გადახდას;

25.2.23. იზრუნოს მოსწავლის სკოლაში სასწავლო ნივთებითა და სასკოლო ფორმით დროულად გამოცხადებაზე და მოსწავლეთა მხრიდან ნებისმიერი დისციპლინარული გადაცდომის შემთხვევაში, შინაგანაწესით განსაზღვრულ რეაგირებაზე;

25.2.24. უზრუნველყოს მშობელთა აქტიური ჩართულობა სასწავლო-საადმინისტრაციულ პროცესში;

25.2.25. სკოლა-ლიცეუმ „პრომეთეს“ დირექციას დროულად წარუდგინოს სემესტრული და წლიური ანგარიშები, დამრიგებლის პორტფოლიო და სხვა საჭირო დოკუმენტაცია;

25.2.26. მოსწავლეს და მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს დროულად აცნობს გადაწყვეტილებას დისციპლინარული ღონისძიების/სახდელის შეფარდების შესახებ;

25.2.27. სასწავლო პროცესის კოორდინატორთან, მესამე გაკვეთილამდე წარადგინოს ინფორმაცია სადამრიგებლო კლასის მოსწავლეთა გამოცხადების, დაგვიანებისა და ფორმის არ ქონის შესახებ;

25.2.28. მუშაობის პროცესში იხელმძღვანელოს განათლების სამინისტროს მიერ რეკომენდირებული მეთოდური სახელმძღვანელოებითა და გზამკვლევებით;

25.3. ამ მუხლით გათვალისწინებული მოვალეობების შეუსრულებლობა/დარღვევა ჩაითვლება დისციპლინარულ გადაცდომად.

მუხლი 26.

26. დასაქმებულის/მასწავლებლის ჩაცმის წესები და გარეგნული იერსახე

26.1. დასაქმებული/მასწავლებელი ვალდებულია სკოლაში გამოცხადდეს შესაფერისი ჩაცმულობით, ვარცხნილობითა და მაკიაჟით; რეკომენდირებულია, დასაქმებული იმოსებოდეს აკადემიურად; მასწავლებელი ვალდებულია უპირატესობა მიანიჭოს ჩაცმის კლასიკურ სტილს;

26.2. მასწავლებელთა პროფესიული ეთიკის კოდექსიდან გამომდინარე, დაუშვებელია, მასწავლებლისათვის შეუფერებელი და გამომწვევი ჩაცმულობა; დაუშვებელია იმგვარი სამოსის ტარება, რომელზეც წერია შეურაცხმყოფელი გამონათქვამი, გამოსახულია ვულგარული სურათი ან/და კარიკატურა.

თავი მეათე **დისციპლინური წარმოება**

მუხლი 27.

27. დისციპლინური დევნა

27.1. დისციპლინური დევნა არის სკოლა-ლიცეუმ „პრომეთეს“ მიერ ჩატარებულ ღონისძიებათა ერთობლიობა, რომელთა მიზანია მოსწავლის ან დასაქმებულის მიერ ჩადენილი დისციპლინური გადაცდომის გამოვლენა.

27.2. სასკოლო დისციპლინა დაცული უნდა იქნეს იმ მეთოდების მეშვეობით, რომლებიც ეფუძნება მოსწავლის და მასწავლებლის თავისუფლებისა და ღირსების პატივისცემას.

27.3. შინაგანაწესით დადგენილი მოთხოვნები, დისციპლინური დევნა და სახდელი უნდა იყოს გონივრული, დასაბუთებული და პროპორციული.

27.4. დისციპლინური დევნა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ შინაგანაწესით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით, ჯეროვანი და სამართლიანი პროცედურების დაცვით.

27.5. დაუშვებელია სასტიკი ან ისეთი დისციპლინური სახდელის გამოყენება, რომელიც ლახავს პირის პატივსა და ღირსებას.

27.6. დისციპლინური დევნისას სკოლა-ლიცეუმი „პრომეთე“ ვალდებულია განუმარტოს პირს მის მიერ ჩადენილი დისციპლინური გადაცდომის არსი.

27.7. ერთი დისციპლინური გადაცდომისათვის შეიძლება დაკისრებულ იქნეს დისციპლინური სახდელის მხოლოდ ერთი სახე.

27.8. დისციპლინური სახდელის დაკისრებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ჩადენილი დისციპლინური გადაცდომის შინაარსი, სიმძიმის ხარისხი და ის შედეგი, რაც პირდაპირ მიზეზობრივ კავშირშია ჩადენილ დისციპლინურ გადაცდომასთან.

27.9. დაუშვებელია დისციპლინური სახდელის დაკისრება იმ ქმედებისთვის, რომელიც დასაქმებულმა/მოსწავლემ ჩაიდინა სასკოლო დროისგან თავისუფალ დროს ან სკოლა-ლიცეუმ „პრომეთეს“ ტერიტორიის გარეთ.

მუხლი 28.

28. საქმის გარემოებების გამოკვლევა

28.1. დირექტორი იკვლევს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოებას და დისციპლინური სახდელის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე;

28.2. დაინტერესებული მხარე ვალდებულია ითანამშრომლოს დირექტორთან;

28.3. საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, დირექტორი უფლებამოსილია:

28.3.1. გამოითხოვოს დოკუმენტები;

28.3.2. შეაგროვოს ცნობები;

28.3.3. მოუსმინოს დაინტერესებულ მხარეებს;

28.3.4. დაათვალიეროს მოვლენის ან შემთხვევის ადგილი;

28.3.5. გაეცნოს ვიდეოჩანაწერს;

28.3.6. გამოიყენოს აუცილებელი დოკუმენტები და აქტები;

28.3.7. მტკიცებულებათა შეგროვების, გამოკვლევისა და შეფასების მიზნით

მიმართოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა ზომებს.

28.4. დასაქმებულს/მოსწავლეს უფლება აქვს დისციპლინური დევნისას ისარგებლოს დუმილის უფლებით. დუმილის უფლება არ ათავისუფლებს დასაქმებულს დისციპლინური პასუხისმგებლობისაგან;

28.5. დისციპლინურ წარმოებაში მონაწილე დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს წარადგინოს მტკიცებულებები, აგრეთვე შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის თხოვნით;

28.6. შუამდგომლობასთან დაკავშირებით დირექტორი იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

28.6.1. შუამდგომლობის დაკმაყოფილების შესახებ;

28.6.2. შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე;

28.6.3. შუამდგომლობის ნაწილობრივ დაკმაყოფილების თაობაზე.

მუხლი 29.

29. დასაქმებულთა დისციპლინური გადაცდომების განხილვაზე უფლებამოსილი პირი

29.1. დასაქმებულთა დისციპლინურ გადაცდომებს განიხილავს დირექტორი.

29.2. დირექტორი დისციპლინური წარმოებისას იკვლევს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოებას და ამ გარემოებათა შეფასების საფუძველზე იღებს დისციპლინური სახდელის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილებას.

29.3. დასაქმებულისთვის დისციპლინური სახდელის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილება ფორმდება დირექტორის ბრძანებით.

29.4. დირექტორი გადაწყვეტილებას დისციპლინური სახდელის დაკისრებაზე ან დაკისრებაზე უარის თქმის შესახებ იღებს ადმინისტრაციული წარმოების დაწყებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში, ხოლო თუ გადაწყვეტილება შეიძლება შეეხოს მესამე პირთა ინტერესებს - 1 თვის ვადაში; დასაშვებია ამ ვადის დამატებით 3 თვემდე გაგრძელება; დისციპლინური გადაცდომის თაობაზე ადმინისტრაციული წარმოება იწყება შესაძლო დისციპლინური გადაცდომის შესახებ ფაქტის დირექტორის მიერ შეტყობის მომენტიდან;

29.5. ამ მუხლის 29.1 პუნქტით გათვალისწინებული ვადის ამოწურვის შემდეგ, თუ არ იქნა მიღებული დისციპლინური სახდელის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილება, დაუშვებელია დისციპლინური სახდელის გამოყენება;

მუხლი 30.

30. დასაქმებულის მიმართ გამოსაყენებელი დისციპლინური სახდელები

30.1. დისციპლინური გადაცდომის ჩადენისათვის დასაქმებულს ეკისრება დისციპლინური სახდელი;

30.2. დისციპლინური გადაცდომის ჩადენისათვის, დასაქმებულის მიმართ გამოიყენება შემდეგი დისციპლინური სახდელები:

30.2.1. შენიშვნა;

30.2.2. გაფრთხილება;

30.2.3. საყვედური;

30.2.4. სასტიკი საყვედური;

30.2.5. არაუმეტეს ათი სამუშაო დღის ხელფასის დაკავება;

30.2.6. სამსახურიდან გათავისუფლება.

30.3. დისციპლინური სახდელის დადებამდე დასაქმებულს უნდა ჩამოერთვას წერილობითი ახსნა-განმარტება. ახსნა-განმარტების არარსებობის შემთხვევაში შესაძლებელია შედგენილ იქნას შესაბამისი აქტი, რომელიც ხელმოწერილი იქნება დამსწრე პირთა მიერ.

30.4. დასაქმებულის წერილობითი ფორმით გაცხადებული უარი ახსნა-განმარტების ჩამორთმევის თაობაზე, არ საჭიროებს ამავე მუხლის 30.3. პუნქტით გათვალისწინებული აქტის შედგენას.

30.5. შინაგანაწესის 31-ე მუხლის 31.2 პუნქტის გაუთვალისწინებლად, დასაქმებულს შესაძლებელია დაეკისროს ამავე შინაგანაწესის 30-ე მუხლის 30.2. პუნქტით დადგენილი დისციპლინური სახდელები კონკრეტული შემთხვევის სიმძიმის, ხასიათის,

გარემოებების, დასაქმებულისა და სკოლა-ლიცეუმ „პრომეთეს“ ინტერესებიდან გამომდინარე;

30.6. დირექტორი უფლებამოსილია, თანამშრომელთა მიერ უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის ცალკეულ შემთხვევაში, თავად განსაზღვროს გასატარებელი ღონისძიებები და დისციპლინური პასუხისმგებლობის განსხვავებული ზომები.

მუხლი 31.

31. დასაქმებულის დისციპლინური გადაცდომა და შესაბამისი სახდელები

31.1. დასაქმებულის მიმართ შესაძლოა გამოყენებულ იქნას ქვემოთ ჩამოთვლილ გადაცდომებთან მითითებული სახდელები. კონკრეტული გადაცდომის განმეორების შემთხვევაში გამოიყენება უფრო მძიმე სახდელი, მხოლოდ მაშინ, თუ დასაქმებულის მიმართ უკვე გამოყენებულია შედარებით მსუბუქი სახდელი;

31.2. გადაცდომები და შესაბამისი სახდელები

31.2.1. სამსახურებრივ მოვალეობათა ან/და შინაგანაწესის ან/და დებულების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება - სახდელი ეკისრება კონკრეტული გადაცდომის სიმძიმიდან გამომდინარე ;

31.2.2. სამსახურებრივი მოვალეობისადმი დაუდევარი დამოკიდებულება - შესაძლებელია გამოყენებულ იქნას შენიშვნა, განმეორების შემთხვევაში - გაფრთხილება ;

31.2.3. დასაქმებულის, მოსწავლის ან სკოლა-ლიცეუმ „პრომეთეს“ დისკრედიტაციისაკენ მიმართული უღირსი საქციელი, ზნეობრივ - ეთიკური ნორმების დარღვევა - სახდელი ეკისრება კონკრეტული გადაცდომის სიმძიმიდან გამომდინარე ;

31.2.4. ქმედება, რომელიც ლახავს სკოლა-ლიცეუმის რეპუტაციას/ავტორიტეტს - შესაძლოა გამოყენებულ იქნას სასტიკი საყვედური. განმეორების შემთხვევაში - ხელფასის დაკავება არაუმეტეს 10 სამუშაო დღისა ;

31.2.5. მასწავლებლის მიერ მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსის დარღვევა - სახდელი ეკისრება კონკრეტული გადაცდომის სიმძიმიდან გამომდინარე ;

31.2.6. მოსწავლეზე/დასაქმებულზე ფსიქოლოგიური ზეწოლა - შესაძლოა გამოყენებულ იქნას სასტიკი საყვედური. განმეორების შემთხვევაში - ხელფასის დაკავება არაუმეტეს 10 სამუშაო დღისა;

31.2.7. მოსწავლის/მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის/დასაქმებულის პირად ცხოვრებაში ჩარევა - შესაძლოა გამოყენებულ იქნას სასტიკი საყვედური. განმეორების შემთხვევაში - ხელფასის დაკავება არაუმეტეს 10 სამუშაო დღისა;

31.2.8. კონფიდენციალობის პრინციპის დარღვევა - შესაძლოა გამოყენებულ იქნას საყვედური. განმეორების შემთხვევაში - სასტიკი საყვედური;

31.2.9. სკოლა-ლიცეუმ „პრომეთეს“ ტერიტორიაზე ალკოჰოლის, ან/და ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, პრეკურსორის, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების, ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების შეტანა, რეალიზაცია ან/და გავრცელება;

31.2.9.1. **ალკოჰოლის შეტანისათვის** - შესაძლოა გამოყენებულ იქნას შენიშვნა. განმეორების შემთხვევაში - გაფრთხილება;

31.2.9.2. **ნარკოტიკული საშუალების**, მისი ანალოგის, პრეკურსორის **შეტანისას** - შესაძლოა გამოყენებულ იქნას სასტიკი საყვედური. განმეორების შემთხვევაში ხელფასის დაკავება არაუმეტეს 10 დღისა;

31.2.9.3. **ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების**, ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების **შეტანისას** - შესაძლოა გამოყენებულ იქნას საყვედური. განმეორების შემთხვევაში - სასტიკი საყვედური;

31.2.9.4. **ალკოჰოლის რეალიზაცია ან/და გავრცელებისას** - შესაძლოა გამოყენებულ იქნას სასტიკი საყვედური. განმეორების შემთხვევაში - ხელფასის დაკავება არაუმეტეს 10 სამუშაო დღისა;

31.2.9.5. **ნარკოტიკული საშუალების**, მისი ანალოგის, პრეკურსორის **რეალიზაცია ან/ და გავრცელებისას** - სამსახურიდან გათავისუფლება.

31.2.9.6. **ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების**, ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების **რეალიზაცია ან/და გავრცელებისას** - სამსახურიდან გათავისუფლება.

31.2.10. სამსახურში გამოცხადება ალკოჰოლის, ან/და ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, პრეკურსორის, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების, ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების **ზემოქმედების ქვეშ** (ექიმის დანიშნულების გარეშე);

31.2.10.1. **ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ** გამოცხადებისას - შესაძლოა გამოყენებული იქნას გაფრთხილება. განმეორების შემთხვევაში - საყვედური;

31.2.10.2. **ნარკოტიკული საშუალების**, მისი ანალოგის, პრეკურსორის **ზემოქმედების ქვეშ** გამოცხადებისას - შესაძლოა გამოყენებულ იქნას სასტიკი საყვედური. განმეორების შემთხვევაში - ხელფასის დაკავება არაუმეტეს 10 სამუშაო დღისა;

31.2.10.3. **ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების**, ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების **ზემოქმედების ქვეშ** (ექიმის დანიშნულების გარეშე) გამოცხადება - შესაძლოა გამოყენებულ იქნას სასტიკი საყვედური. განმეორების შემთხვევაში - ხელფასის დაკავება არაუმეტეს 10 სამუშაო დღისა;

31.2.11. სამსახურში ალკოჰოლის, ან/და ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, პრეკურსორის, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების, ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების მიღება (ექიმის დანიშნულების გარეშე);

31.2.11.1. **ალკოჰოლის სკოლის ტერიტორიაზე მიღებისას** - ხელფასის დაკავება არაუმეტეს 10 სამუშაო დღისა. ხოლო განმეორების შემთხვევაში - სამსახურიდან გათავისუფლება;

31.2.11.2. **ნარკოტიკული საშუალების**, მისი ანალოგის, პრეკურსორის, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების, ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების **სკოლის ტერიტორიაზე მიღებისას** - სამსახურიდან გათავისუფლება.

31.2.12. განზრახ ან გაუფრთხილებლობით სკოლა-ლიცეუმ „პრომეთესათვის“ ზიანის მიყენება ან ასეთი ზიანის წარმოშობის საშიშროების შექმნა;

31.2.12.1. განზრახ ზიანის მიყენებისას ან ზიანის წარმოშობის საშიშროების შექმნისას შესაძლოა გამოყენებულ იქნას გაფრთხილება. განმეორების შემთხვევაში - საყვედური ;

31.2.12.2. გაუფრთხილებლობით ზიანის მიყენებისას ან ზიანის წარმოშობის საშიშროების შექმნისას - შესაძლოა გამოყენებულ იქნას შენიშვნა, ხოლო განმეორების შემთხვევაში - გაფრთხილება;

31.2.13. სკოლა-ლიცეუმ „პრომეთეს“ ტექნიკის, აღჭურვილობისა ან/და დოკუმენტების უნებართვოდ ან არასათანადოდ გამოყენება ან/და სკოლა-ლიცეუმ „პრომეთეს“ ტერიტორიის გარეთ გატანა - შესაძლოა გამოყენებულ იქნას შენიშვნა, ხოლო განმეორების შემთხვევაში - გაფრთხილება;

31.2.14. სკოლა-ლიცეუმ „პრომეთეს“ ტერიტორიაზე უსაფრთხოების წესების დარღვევა - შესაძლოა გამოყენებულ იქნას საყვედური, განმეორების შემთხვევაში - სასტიკი საყვედური ;

31.2.15. სკოლა-ლიცეუმის ტერიტორიაზე უსაფრთხოების წესების დარღვევა, რამაც გამოიწვია ზიანი - შესაძლოა გამოყენებულ იქნას სასტიკი საყვედური, ხოლო განმეორების შემთხვევაში - ხელფასის დაკავება არაუმეტეს 10 სამუშაო დღისა;

31.2.16. მოსწავლის/სკოლა-ლიცეუმ „პრომეთეში“ დასაქმებულის/მოსწავლის მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის/სკოლა-ლიცეუმ „პრომეთეს“ ტერიტორიაზე შემოსული გარეშე პირის სიტყვიერი ან/და ფიზიკური შეურაცხყოფა - შესაძლოა გამოყენებულ იქნას სასტიკი საყვედური, ხოლო განმეორების შემთხვევაში - ხელფასის დაკავება არაუმეტეს 10 სამუშაო დღისა ;

31.2.17. სამსახურში **დაგვიანება**, გაუფრთხილებლად , არასაპატიო მიზეზით სამუშაოს **გაცდენა** ან სამუშაო დროის განმავლობაში სამსახურის გაუფრთხილებლად **დატოვება**;

31.2.17.1. დაგვიანებისას - შესაძლოა გამოყენებულ იქნას შენიშვნა, განმეორების შემთხვევაში - გაფრთხილება;

31.2.17.2. არასაპატიო მიზეზით სამუშაოს გაცდენა ან სამუშაოს დროის განმავლობაში სამსახურის გაუფრთხილებლად დატოვებისას - შესაძლოა გამოყენებულ იქნას გაფრთხილება, განმეორების შემთხვევაში - საყვედური;

31.2.18. სკოლა-ლიცეუმ „პრომეთეს“ დოკუმენტაციის (ელექტრონული ჟურნალი, კათედრის დოკუმენტაციის, სხდომის ოქმები და სხვა) წარმოების წესის დარღვევა - გაფრთხილება, ხოლო განმეორების შემთხვევაში - საყვედური;

31.2.19. მასწავლებლის მიერ საგაკვეთილო პროცესის მიტოვება, დასაქმებულის მიერ საგაკვეთილო პროცესის ჩაშლა ან ჩაშლის მცდელობა - საყვედური, ხოლო განმეორების შემთხვევაში - სასტიკი საყვედური;

31.2.20. შესაძლო დისციპლინური გადაცდომის შესახებ ინფორმაციის დამალვა - საყვედური, განმეორების შემთხვევაში - სასტიკი საყვედური;

31.2.21. სკოლა-ლიცეუმ „პრომეთეში“ კონფლიქტური სიტუაციების შექმნა - საყვედური, განმეორების შემთხვევაში - სასტიკი საყვედური;

31.2.22. სკოლის დოკუმენტაციის დაზიანება, დაკარგვა - საყვედური, ხოლო განმეორების შემთხვევაში - სასტიკი საყვედური.

31.2.23. უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესითა და პირობებით” გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა - სახდელი ეკისრება კონკრეტული გადაცდომის სიმძიმიდან გამომდინარე ;

31.2.24. ბულინგის ან/და კიბერბულინგის ჩადენა - სასტიკი საყვედური, ხოლო განმეორების შემთხვევაში - არაუმეტეს ათი სამუშაო დღის ხელფასის დაკავება ;

31.2.25. დისკრიმინაციის განხორციელება ნებისმიერი ნიშნის მიხედვით-საყვედური, ხოლო განმეორების შემთხვევაში - სასტიკი საყვედური;

31.2.26. პედაგოგიური საბჭოს, საგნობრივი კათედრის სხდომებზე, სამუშაო შეხვედრებზე არასაკმატო მიზეზით დაუსწრებლობა/დასწრებისთვის თავის არიდება - გაფრთხილება. განმეორების შემთხვევაში - საყვედური;

31.2.27. ღირექტორის კანონიერი დავალებებისა და მითითებების შეუსრულებლობა - სახდელი ეკისრება კონკრეტული გადაცდომის სიმძიმიდან გამომდინარე ;

31.2.28. მოსწავლეებთან, მშობლებთან და თანამშრომლებთან ურთიერთობის წესების დარღვევა - გაფრთხილება, ხოლო განმეორების შემთხვევაში - საყვედური;

31.2.29. ჩაცმის წესების დარღვევა - გაფრთხილება, ხოლო განმეორების შემთხვევაში - საყვედური;

31.2.30. საკუთარი მოსწავლეებისათვის სასკოლო დროს და სკოლის ტერიტორიაზე დამატებით ფასიანი საგანმანათლებლო მომსახურების გაწევა - სასტიკი საყვედური, ხოლო განმეორების შემთხვევაში - ხელფასის დაკავება არაუმეტეს 10 სამუშაო დღისა;

31.2.31. მოსწავლისგან ან მშობლისგან/კანონიერი წარმომადგენლისგან ძვირადღირებული საჩუქრის მიღება (შენიშვნა: ძვირადღირებულ საჩუქრად ჩაითვლება 500 ლარი და მეტის ღირებულების ნივთი) - შენიშვნა, ხოლო განმეორების შემთხვევაში - გაფრთხილება ;

31.2.32. მოსწავლის რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლების დარღვევა, ასევე გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა - საყვედური, განმეორების შემთხვევაში - სასტიკი საყვედური;

31.2.33. სკოლა-ლიცეუმ „პრომეთეს“ ტერიტორიაზე აკრძალული შემდეგი ნივთებით გამოცხადება:

31.2.33.1. ცივი და ცეცხლსასროლი იარაღი - სამსახურიდან გათავისუფლება;

31.2.33.2. ასაფეთქებელი და მომწამლავი ნივთიერებები - სამსახურიდან გათავისუფლება;

31.2.33.3. აღმგზნები საშუალებები - გაფრთხილება, განმეორების შემთხვევაში - სასტიკი საყვედური;

31.2.34. სკოლა-ლიცეუმ პრომეთეს ტერიტორიაზე აკრძალული შემდეგი ნივთების მოხმარება:

31.2.34.1. ცივი და ცეცხლსასროლი იარაღი - სამსახურიდან გათავისუფლება;

31.2.34.2. ასაფეთქებელი და მომწამლავი ნივთიერებები - სამსახურიდან გათავისუფლება;

31.2.34.3. აღმგზნები საშუალებები - სამსახურიდან გათავისუფლება;

31.2.34.4. აზარტული თამაშის საშუალებები- შენიშვნა, განმეორების შემთხვევაში - გაფრთხილება;

31.2.34.5. უხამსობის ამსახველი ნივთები - სასტიკი საყვედური, განმეორების შემთხვევაში ხელფასის დაკავება არაუმეტეს 10 სამუშაო დღისა;

31.2.34.6. თამბაქოს ნაწარმი/ელექტრონული სიგარეტი- სასტიკი საყვედური, განმეორების შემთხვევაში ხელფასის დაკავება არაუმეტეს 10 სამუშაო დღისა;

31.2.35. დასაქმებულისათვის შეუფერებელი სხვა ქმედება - სახდელი ეკისრება კონკრეტული გადაცდომის სიმძიმიდან გამომდინარე ;

31.3. სამსახურებრივ მოვალეობათა ან/და შინაგანაწესის შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების, დასაქმებულის, მოსწავლის ან სკოლა-ლიცეუმ „პრომეთეს“ დისკრედიტაციისაკენ მიმართული უღირსი საქციელის ჩადენის, ზნეობრივ - ეთიკური ნორმების დარღვევის, მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსის დარღვევის, დირექტორის კანონიერი დავალებებისა და მითითებების შეუსრულებლობი, დასაქმებულისათვის შეუფერებელი სხვა ქმედების ჩადენის შემთხვევაში, ან/და „უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესითა და პირობებით“ გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის დასაქმებულს დისციპლინური სახდელი ეკისრება კონკრეტული გადაცდომის სიმძიმიდან გამომდინარე.

მუხლი 32.

32. დასაქმებულისათვის დისციპლინური სახდელის ვადაზე ადრე მოხსნა

32.1. დისციპლინური სახდელი შეიძლება ვადაზე ადრე იქნას მოხსნილი, თუ დასაქმებულმა არ ჩაიდინა ახალი გადაცდომა, თავი გამოიჩინა როგორც კეთილსინდისიერმა თანამშრომელმა და სახდელის დადებიდან გასულია სულ მცირე 1 თვე მაინც;

32.2. ამ მუხლის 32.1. პუნქტით განსაზღვრული წესის გარდა დირექტორის მიერ დისციპლინური სახდელი ვადაზე ადრე შეიძლება მოიხსნას განსაკუთრებული დამსახურებისათვის;

32.3. თუ დასაქმებულს ერთი წლის ვადაში არ შეეფარდა ახალი დისციპლინური სახდელი, იგი ითვლება დისციპლინური პასუხისმგებლობის არმქონედ;

32.4. დისციპლინური სახდელის ვადაზე ადრე მოხსნის შესახებ გადაწყვეტილება ფორმდება დირექტორის ბრძანებით.

მუხლი 33.

33. დისციპლინური სახდელის დაკისრება და გასაჩივრება

33.1. დირექტორის ბრძანება დისციპლინური სახდელის დაკისრებასთან დაკავშირებით, ასევე, უარი დისციპლინური სახდელის დაკისრებასთან დაკავშირებით, საჩივრდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

33.2. ამ მუხლის 30.3. პუნქტით გათვალისწინებული გასაჩივრება არ იწვევს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული აქტის მოქმედების შეჩერებას.

მუხლი 34.

34. დასაქმებულისათვის დისციპლინური სახდელის შეფარდების დაუშვებლობა

34.1. დასაქმებულის მიმართ დისციპლინური სახდელი არ შეიძლება გამოყენებული იქნეს გადაცდომის ჩადენის დღიდან ერთი წლის გასვლის შემდეგ;

34.2. ხანდაზმულობის ვადის დინება იწყება დისციპლინური გადაცდომის ჩადენის დღიდან და წყდება დისციპლინური წარმოების დაწყებისას.

მუხლი 35.

35. დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები მოსწავლის მიერ ჩადენილი გადაცდომებისათვის და გადაწყვეტილების მიღებაზე უფლებამოსილი პირი

35.1. მოსწავლეთა მიერ ჩადენილი გადაცდომების მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომებია:

- 35.1.1. შენიშვნა;
- 35.1.2. გაფრთხილება;
- 35.1.3. მკაცრი გაფრთხილება;
- 35.1.4. საყვედური;
- 35.1.5. სასტიკი საყვედური;
- 35.1.6. სკოლიდან დროებით დათხოვნა;
- 35.1.7. სკოლისათვის სასარგებლო საქმიანობის დაკისრება;
- 35.1.8. მოსწავლის სკოლიდან გარიცხვა (საშუალო საფეხურზე).

35.2. მოსწავლისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე უფლებამოსილია დირექტორი;

35.3. მოსწავლის მხრიდან გაკვეთილის ჩაშლის მცდელობისას, მასწავლებელს უფლება აქვს სკოლა-ლიცეუმ „პრომეთეს“ უსაფრთხოების ოფიცერთან შეთანხმებით, მიიღოს გადაწყვეტილება მოსწავლის კლასიდან გამევეების შესახებ და ვალდებულია აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ შეატყობინოს დირექტორს/სასწავლო პროცესის კოორდინატორს. მოსწავლე უსაფრთხოების ოფიცერთან ერთად დაუყოვნებლივ უნდა გამოცხადდეს დირექტორთან/სასწავლო პროცესის კოორდინატორთან. მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს ეცნობება მოსწავლის გაკვეთილიდან გამევეების ფაქტისა და მიზეზების შესახებ;

35.4. ნებისმიერი დასაქმებული პირი, რომლისთვისაც ცნობილი გახდება მოსწავლის შესაძლო დისციპლინური გადაცდომის ფაქტის შესახებ, ვალდებულია აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს დირექტორს;

35.5. შინაგანაწესის 36-ე მუხლით დადგენილი წესის გაუთვალისწინებლად, მოსწავლეს შესაძლებელია დაეკისროს ამ მუხლის 35.1 პუნქტით დადგენილი დისციპლინური სახდელები კონკრეტული შემთხვევის ხასიათის, მოსწავლისა და სკოლა-ლიცეუმ „პრომეთეს“ ინტერესებიდან გამომდინარე;

35.6. გადაცდომათა ერთობლიობის დროს, მოსწავლეს დაეკისრება უფრო მძიმე გადაცდომისთვის გათვალისწინებული სახდელი. გადაცდომათა ერთობლიობა გულისხმობს რამდენიმე გადაცდომის ჩადენას, რომლებიც გამოვლენილია, მაგრამ ჯერ არ მომხდარა მასზე დისციპლინური სახდელის დაკისრება 29-ე მუხლის 24.4 პუნქტით გათვალისწინებული ვადის განმავლობაში;

35.7. დირექტორი უფლებამოსილია, მოსწავლეთა მიერ უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის ცალკეულ შემთხვევაში, თავად განსაზღვროს გასატარებელი ღონისძიებები და დისციპლინური პასუხისმგებლობის განსხვავებული ზომები.

მუხლი 36.

36. მოსწავლეთა დისციპლინური გადაცდომა და სახდელები

36.1. მოსწავლის მიმართ შესაძლოა გამოყენებულ იქნას ქვემოთ ჩამოთვლილ გადაცდომებთან მითითებული სახდელები. კონკრეტული გადაცდომის განმეორების შემთხვევაში გამოიყენება უფრო მძიმე სახდელი, მხოლოდ მაშინ, თუ მოსწავლის მიმართ უკვე გამოყენებულია შედარებით მსუბუქი სახდელი;

36.2. დისციპლინური გადაცდომები და სახდელებია:

36.2.1. საგაკვეთილო პროცესზე გამოუცხადებლობა, იმ შემთხვევაში, როდესაც აღნიშნულის შესახებ მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი არ არის ინფორმირებული (მშობელმა წინასწარ უნდა შეატყობინოს სკოლა-ლიცეუმ „პრომეთეს“ ან წარმოადგინოს ჯანმრთელობის ცნობა ფორმა N100) - შენიშვნა, განმეორების შემთხვევაში - გაფრთხილება;

36.2.2. არასაპატიო მიზეზით დაგვიანება - შენიშვნა, განმეორების შემთხვევაში - გაფრთხილება;

36.2.3. ნებართვის გარეშე, საგაკვეთილო/სასწავლო პროცესის ან სკოლა-ლიცეუმ „პრომეთეს“ მიერ ორგანიზებული ღონისძიებების მიმდინარეობისას კლასის ან/და სკოლა-ლიცეუმ „პრომეთეს“ ტერიტორიის დატოვება- გაფრთხილება, განმეორების შემთხვევაში - მკაცრი გაფრთხილება;

36.2.4. გაკვეთილის ჩაშლა ან ჩაშლის მცდელობა - გაფრთხილება, განმეორების შემთხვევაში - მკაცრი გაფრთხილება;

36.2.5. სკოლაში გამოცხადება სასწავლო ნივთების გარეშე - შენიშვნა, განმეორების შემთხვევაში - გაფრთხილება;

36.2.6. მოსწავლის ჩაცმის წესების დარღვევა - შენიშვნა, განმეორების შემთხვევაში - გაფრთხილება;

36.2.7. მასწავლებლის, მოსწავლის, სკოლა-ლიცეუმ „პრომეთეს“ თანაშრომლის ან მის ტერიტორიაზე შემოსული ნებისმიერი პირის სიტყვიერი ან/და ფიზიკური შეურაცხყოფა -საყვედური, განმეორების შემთხვევაში - სასტიკი საყვედური ;

36.2.8. პლაგიატიზმი - გაფრთხილება, განმეორების შემთხვევაში - საყვედური;

36.2.9. ვანდალიზმი - მკაცრი გაფრთხილება, განმეორების შემთხვევაში - საყვედური;

36.2.10. სკოლა-ლიცეუმ „პრომეთესათვის“ მატერიალური/ქონებრივი ზიანის განზრახ ან გაუფრთხილებლად მიყენება - გაფრთხილება, განმეორების შემთხვევაში - მკაცრი გაფრთხილება;

36.2.11. სკოლა-ლიცეუმ „პრომეთეს“ ტერიტორიაზე ცილისმწამებლური ან დამცინავი განცხადებების გაკეთება - შენიშვნა, განმეორების შემთხვევაში - გაფრთხილება;

36.2.12. სკოლა-ლიცეუმ „პრომეთეს“ ტერიტორიაზე ალკოჰოლის, ან/და ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, პრეკურსორის, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების, ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების შეტანა, რეალიზაცია ან/და გავრცელება;

36.2.12.1. სკოლა-ლიცეუმ „პრომეთეს“ ტერიტორიაზე ალკოჰოლის შეტანა - შენიშვნა, განმეორების შემთხვევაში - გაფრთხილება;

36.2.12.2. სკოლა-ლიცეუმ „პრომეთეს“ ტერიტორიაზე ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, პრეკურსორის, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების, ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების შეტანა - სკოლიდან დათხოვნა დროებით, 5 სასწავლო დღემდე, განმეორების შემთხვევაში სკოლიდან დათხოვნა დროებით, 5-დან 10 დღემდე;

36.2.12.3. სკოლა-ლიცეუმ „პრომეთეს“ ტერიტორიაზე ალკოჰოლის რეალიზაცია ან/და გავრცელება - საყვედური, განმეორების შემთხვევაში - მკაცრი საყვედური;

36.2.12.4. სკოლა-ლიცეუმ „პრომეთეს“ ტერიტორიაზე ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, პრეკურსორის, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების, ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების რეალიზაცია ან/და გავრცელება - სკოლიდან დათხოვნა დროებით, 5 სასწავლო დღემდე, განმეორების შემთხვევაში სკოლიდან დათხოვნა დროებით, 5-დან 10 დღემდე;

36.2.13. სკოლა-ლიცეუმ „პრომეთეს“ ტერიტორიაზე გამოცხადება ალკოჰოლის, ან/და ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, პრეკურსორის, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების, ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ (ექიმის დანიშნულების გარეშე) - მკაცრი საყვედური, განმეორების შემთხვევაში, სკოლიდან დათხოვნა დროებით, 5 სასწავლო დღემდე ;

36.2.14. სკოლა-ლიცეუმ „პრომეთეს“ ტერიტორიაზე აკრძალული შემდეგი ნივთებით ან ზემოქმედების ქვეშ გამოცხადება, ტარება ან/და მათი მოხმარება/გამოყენება:

36.2.14.1. ცივი და ცეცხლსასროლი იარაღი - სკოლიდან დათხოვნა დროებით, 5 სასწავლო დღემდე, განმეორების შემთხვევაში სკოლიდან დათხოვნა დროებით, 5-დან 10 დღემდე;

36.2.14.2. ასაფეთქებელი და მომწამლავი ნივთიერებები - სკოლიდან დათხოვნა დროებით, 5 სასწავლო დღემდე, განმეორების შემთხვევაში სკოლიდან დათხოვნა დროებით, 5-დან 10 დღემდე;

36.2.14.3. თამბაქოს ნაწარმი/ელექტრონული სიგარეტი - მკაცრი საყვედური, განმეორების შემთხვევაში სკოლიდან დათხოვნა დროებით, 5 სასწავლო დღემდე ;

36.2.14.4. სანთებელა ან ასანთი - მკაცრი საყვედური, განმეორების შემთხვევაში სკოლიდან დათხოვნა დროებით, 5 სასწავლო დღემდე ;

36.2.14.5. აღმგზნები საშუალებები - სკოლიდან დათხოვნა დროებით, 5 სასწავლო დღემდე, განმეორების შემთხვევაში სკოლიდან დათხოვნა დროებით, 5-დან 10 დღემდე;

36.2.14.6. ნებისმიერი სახის იარაღი ან ზასრი ნივთი (მაგ. კასტეტი, დანა და ა.შ.) რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს იარაღად - სკოლიდან დათხოვნა დროებით, 5 სასწავლო დღემდე, განმეორების შემთხვევაში სკოლიდან დათხოვნა დროებით, 5-დან 10 დღემდე;

36.2.14.7. აზარტული თამაშის საშუალებები - მკაცრი საყვედური, განმეორების შემთხვევაში სკოლიდან დათხოვნა დროებით, 5 სასწავლო დღემდე ;;

36.2.14.8. უხამსობის ამსახველი ნივთები/საშუალებები - მკაცრი საყვედური, განმეორების შემთხვევაში სკოლიდან დათხოვნა დროებით, 5 სასწავლო დღემდე ;

36.2.14.9. ნებისმიერი სხვა ნივთი, რომელიც შეიძლება საფრთხეს უქმნიდეს სიცოცხლესა და ჯანმრთელობას - სკოლიდან დათხოვნა დროებით, 5 სასწავლო დღემდე, განმეორების შემთხვევაში სკოლიდან დათხოვნა დროებით, 5-დან 10 დღემდე;

36.2.14.10. ძვირადღირებული ნივთები ან დიდი ოდენობის ფული (შენიშვნა: ძვირადღირებულ ნივთად ან დიდი ოდენობის ფულად ჩათვლაზე გადაწყვეტილებას იღებს დირექტორი) - საყვედური, განმეორების შემთხვევაში - მკაცრი საყვედური;

36.2.14.11. სხვა აკრძალული ნივთი, რომელიც არ არის განკუთვნილი სასწავლო პროცესისთვის - დაეკისრება 35.1 პუნქტით დადგენილი დისციპლინური სახდელები კონკრეტული შემთხვევის ხასიათის, მოსწავლისა და სკოლა-ლიცეუმ „პრომეთეს“ ინტერესებიდან გამომდინარე;

36.2.15. გაკვეთილზე ყურსასმენების არასასწავლო მიზნით გამოყენება - შენიშვნა, განმეორების შემთხვევაში - გაფრთხილება;

36.2.16. სკოლა-ლიცეუმ „პრომეთეს“ ტერიტორიაზე სხვისი ნივთის უნებართვოდ აღება - მკაცრი გაფრთხილება, განმეორების შემთხვევაში - საყვედური;

36.2.17. სკოლა-ლიცეუმ „პრომეთეს“ ტერიტორიაზე სხვისი ქონების უნებართვოდ აღება ან/და ხელყოფა (დაკარგვა ან/და დაზიანება) - მკაცრი გაფრთხილება, განმეორების შემთხვევაში - საყვედური;

36.2.18. სკოლა-ლიცეუმ „პრომეთეს“ ტერიტორიაზე ჩართული მობილური ტელეფონი საგაკვეთილო პროცესში და სხვა ტექნიკური საშუალებები, რომელთა არამიზნობრივმა გამოყენებამ შეიძლება ხელი შეუშალოს სასწავლო პროცესს - საყვედური, განმეორების შემთხვევაში - მკაცრი საყვედური;

36.2.19. მოსწავლის დისკრიმინაცია ნებისმიერი ნიშნის მიხედვით - მკაცრი გაფრთხილება, განმეორების შემთხვევაში - საყვედური;

36.2.20. ფულის/ან სხვა ნივთის/ნივთების სხვა პირისთვის იძულების ფორმით გამორთმევა - მკაცრი საყვედური, განმეორების შემთხვევაში - სკოლიდან დათხოვნა დროებით, 5 სასწავლო დღემდე;

36.2.21. სკოლა-ლიცეუმ „პრომეთეს“ ადმინისტრაციის წარმომადგენლის, მასწავლებლის და სხვა დასაქმებული პირების კანონიერი მოთხოვნისადმი მოსწავლის დაუმორჩილებლობა - გაფრთხილება, განმეორების შემთხვევაში - მკაცრი გაფრთხილება;

36.2.22. სკოლა-ლიცეუმ „პრომეთეს“ ტერიტორიაზე „უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესის“ დარღვევა, რომელიც წინამდებარე მუხლში არ არის მოცემული - დაეკისრება 35.1 პუნქტით დადგენილი დისციპლინური სახდელები კონკრეტული შემთხვევის ხასიათის, მოსწავლისა და სკოლა-ლიცეუმ „პრომეთეს“ ინტერესებიდან გამომდინარე;

36.2.23. მოსწავლეთა ქცევის კოდექსის დარღვევა - დაეკისრება 35.1 პუნქტით დადგენილი დისციპლინური სახდელები კონკრეტული შემთხვევის ხასიათის, მოსწავლისა და სკოლა-ლიცეუმ „პრომეთეს“ ინტერესებიდან გამომდინარე;

36.2.24. ფსიქოლოგიური ზეწოლა - მკაცრი გაფრთხილება, განმეორების შემთხვევაში - საყვედური;

36.2.25. სკოლა-ლიცეუმ „პრომეთეს“ დოკუმენტაციის ხელყოფა - სკოლიდან დათხოვნა დროებით, 5 სასწავლო დღემდე, განმეორების შემთხვევაში სკოლიდან დათხოვნა დროებით, 5-დან 10 დღემდე;

36.2.26. სკოლა-ლიცეუმ „პრომეთეს“ საქმიანობისთვის განკუთვნილი კომპიუტერული მონაცემის მიღება ან/და კომპიუტერული სისტემის უნებართვოდ ან სკოლა-ლიცეუმ „პრომეთეს“ ინტერესების საწინააღმდეგოდ გამოყენება - სკოლიდან დათხოვნა დროებით, 5 სასწავლო დღემდე, განმეორების შემთხვევაში სკოლიდან დათხოვნა დროებით, 5-დან 10 დღემდე;

36.2.27. მოსწავლის მიმართ ბულინგის ან/და კიბერბულინგის განხორციელება - საყვედური, განმეორების შემთხვევაში - მკაცრი საყვედური;

36.2.28. სკოლა-ლიცეუმ „პრომეთეს“ ტერიტორიაზე უნებართვოდ ფულის შეგროვება - გაფრთხილება, განმეორების შემთხვევაში - საყვედური;

36.2.29. მოსწავლის მიერ ჩადენილი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსითა ან/და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ნებისმიერი სამართალდარღვევა - სკოლიდან დათხოვნა დროებით, 5 სასწავლო დღემდე, განმეორების შემთხვევაში სკოლიდან დათხოვნა დროებით, 5-დან 10 დღემდე;

36.2.30. სხვა გარემოება ან/და ქმედება, რომელმაც შეიძლება სკოლა-ლიცეუმ „პრომეთეს“ ტერიტორიაზე სასკოლო დროს საფრთხე შეუქმნას იქ მყოფ პირთა სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას ან/და ქონებას, სკოლა-ლიცეუმ „პრომეთეს“ გამართულ ფუნქციონირებას ან/და სასწავლო პროცესის მიმდინარეობას, ასევე მოსწავლისათვის შეუფერებელი სხვა ქმედება - დაეკისრება 35.1 პუნქტით დადგენილი დისციპლინური სახდელები კონკრეტული შემთხვევის ხასიათის, მოსწავლისა და სკოლა-ლიცეუმ „პრომეთეს“ ინტერესებიდან გამომდინარე;

მუხლი 37.

37. მოსწავლეთა მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყებისა და დისციპლინური სახდელის მოხსნის წესი

37.1. დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველი შეიძლება იყოს:

37.1.1. მოსწავლის, მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის, დამრიგებლის, სკოლა-ლიცეუმ „პრომეთეში“ დასაქმებული სხვა პირის, აგრეთვე, იმ პირის წერილობითი მიმართვა ან ინფორმაცია, რომლის სამსახურებრივ მოვალეობასაც წარმოადგენს სკოლა-ლიცეუმ „პრომეთეში“ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფა;

37.1.2. დისციპლინური გადაცდომის ფაქტის აღმოჩენა ან სხვა გარემოება, რომელიც ეჭვს იწვევს, რომ ადგილი აქვს მოსწავლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტს, მათ შორის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გავრცელებული ინფორმაცია, მოსწავლის მიერ ისეთი ქმედების ჩადენის შესახებ, რომელიც შეიძლება დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვალოს.

37.2. დაუშვებელია სკოლა-ლიცეუმ „პრომეთეს“ მიერ მოსწავლის დისციპლინური დევნა იმ ქმედებისთვის, რომელიც მან სასკოლო დროისგან თავისუფალ დროს ან სკოლა-ლიცეუმ „პრომეთეს“ ტერიტორიის გარეთ ჩაიდინა.

37.3. დაუშვებელია დაწყებით და საბაზო საფეხურზე მოსწავლის სკოლიდან გარიცხვა.

37.4. მოსწავლის მიმართ დისციპლინური სახდელის გამოყენების, აგრეთვე დისციპლინური დევნის დაწყების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მის მშობელს ან/და კანონიერ წარმომადგენელს. მოსწავლეს უფლება აქვს მასთან დაკავშირებული საკითხის გადაწყვეტისას მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან ერთად წარსდგეს.

37.5. დისციპლინური სახდელის დადებამდე მოსწავლეს, მისი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის თანდასწრებით, უნდა ჩამოერთვას წერილობითი ახსნა-განმარტება. **თუ მხარე უარს ამბობს ახსნა-განმარტების მიცემაზე ან შეუძლებელია მისი ჩამორთმევა, შედგება აქტი, რომელსაც ხელს მოაწერენ დამსწრე პირები.**

37.6. მშობლის/ კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი ფორმით გაცხადებული უარი მოსწავლისათვის ახსნა-განმარტების ჩამორთმევის თაობაზე, არ საჭიროებს წინამდებარე მუხლის 37.5 პუნქტით გათვალისწინებული აქტის შედგენას.

37.7. დირექცია ვალდებულია მოსწავლე გაკვეთილიდან გამეგების შემთხვევაში გაკვეთილის დასრულებამდე თავისი მზრუნველობის ქვეშ ჰყავდეს.

37.8. დირექცია ვალდებულია მიიღოს ზომები, რათა დისციპლინურმა სახდელმა არ გამოიწვიოს მოსწავლის არსებითი ჩამორჩენა სასწავლო პროცესიდან.

37.9. მოსწავლისთვის დისციპლინური სახდელის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილება ფორმდება დირექტორის ბრძანებით.

37.10. მოსწავლეს დისციპლინური სახდელი ვადაზე ადრე შეიძლება მოეხსნას თუ მან არ ჩაიდინა ახალი გადაცდომა, 1 თვის ვადაში, გამოირჩევა სანიმუშო ქცევით და აქვს გარკვეული მიღწევები. დისციპლინური სახდელის ვადაზე ადრე მოხსნის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს დირექტორი. გადაწყვეტილება ფორმდება დირექტორის ბრძანებით.

37.11. მოსწავლის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყება არ შეიძლება გადაცდომის ჩადენის დღიდან 3 (სამი) თვის გასვლის შემდეგ.

37.12. მოსწავლის დისციპლინური სახდელის მოქმედების ვადაა 3 (სამი) თვე. თუ მოსწავლემ სახდელის დაკისრებიდან 3 თვის ვადაში არ ჩაიდინა ახალი დისციპლინური გადაცდომა, რისთვისაც არ დაკისრებია ახალი დისციპლინური სახდელი, იგი ითვლება დისციპლინური სახდელის არ მქონედ.

თავი მეთერთმეტე

მოსწავლეებთან, მათ კანონიერ წარმომადგენლებთან და სკოლის სხვა

თანამშრომლებთან ურთიერთობის წესები

მუხლი 38.

38. მასწავლებლის მოსწავლეებთან ურთიერთობა

38.1. მასწავლებელი ითავსებს მოსწავლის მრჩევლის ფუნქციას სასწავლო პროცესში წარმოქმნილი სირთულეების გადასალახად;

38.2. მასწავლებელი არ აყენებს მოსწავლეს სიტყვიერ ან ფიზიკურ შეურაცხყოფას და არ ახდენს მასზე ემოციურ (ფსიქოლოგიურ) ზეწოლას;

38.3. მასწავლებელი არ უწევს საკუთარ მოსწავლეს დამატებით ფასიან საგანმანათლებლო მომსახურებას, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

38.4. მასწავლებელი ინარჩუნებს სიმშვიდეს კონფლიქტურ სიტუაციებში, ისმენს მოსწავლეთა აზრს და იღებს ობიექტურ და სამართლიან გადაწყვეტილებებს ;

38.5. მასწავლებელი, სასწავლო პროცესის განმავლობაში, ზრუნავს მოსწავლის ჯანმრთელობის, პირადი უსაფრთხოებისა და საკუთრების დაცვაზე;

38.6. მასწავლებელი მაგალითს აძლევს და ეხმარება მოსწავლეებს ჯანსაღი ცხოვრების წესისათვის აუცილებელი ღირებულებებისა და უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში;

38.7. მასწავლებელი, მოსწავლეებთან ურთიერთობის დროს, იცავს მორალურ და ზნეობრივ ნორმებს;

38.8. მასწავლებელი პატივს სცემს მოსწავლეთა აზრებს, უქმნის მათ ყველა პირობას იდეებისა და შეხედულებების თავისუფლად გამოსახატად;

38.9. მასწავლებელი არ ეწევა მოსწავლეებთან რელიგიურ და პოლიტიკურ პროპაგანდას;

38.10. მასწავლებელი არ იყენებს მოსწავლის ფიზიკურ და ინტელექტუალურ შრომას ან პოტენციალს პირადი მიზნებისათვის;

38.11. მასწავლებელი იჩენს თანაბარ ყურადღებას ყველა მოსწავლის მიმართ, განურჩევლად სქესის, რასის, ენის, რელიგიის, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობის ან სხვა ნიშნისა და ზრუნავს მოსწავლის ხარისხიან განათლებაზე, მათი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა თუ შეზღუდული შესაძლებლობის მიუხედავად.

მუხლი 39.

39. მასწავლებლის ურთიერთობა მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთან

39.1. სკოლა-ლიცეუმ „პრომეთეს“ ადმინისტრაცია და მასწავლებელი თანამშრომლობს მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან და, საჭიროების შემთხვევაში, აწყობს მასთან ინდივიდუალურ შეხვედრებს;

39.2. სკოლა-ლიცეუმ „პრომეთეს“ წარმომადგენელი თავაზიანია მოსწავლის მშობლის/კანონიერ წარმომადგენელთან ურთიერთობისას;

39.3. სასწავლო სემესტრის დასაწყისში მასწავლებელი განმარტებებს აძლევს მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს სასკოლო სასწავლო გეგმისა და სწავლების სტრატეგიების შესახებ;

39.4. მასწავლებელი მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს დაუყოვნებლივ აწვდის ინფორმაციას, მოსწავლის სკოლაში გამოუცხადებლობის, ჯანმრთელობისა და პირადი უსაფრთხოების საშიშროების შემთხვევაში.

მუხლი 40.

40. მასწავლებლის ურთიერთობა სკოლა-ლიცეუმ „პრომეთეს“ დირექციასთან, მასწავლებლებთან და სკოლაში დასაქმებულ სხვა პირებთან

40.1. მასწავლებელი თანაბარი პატივისცემით ეპყრობა სკოლა-ლიცეუმ „პრომეთეს“ დირექციას, მასწავლებლებსა და სკოლაში დასაქმებულ სხვა პირებს, მიუხედავად მათი პროფესიული გამოცდილებისა თუ პიროვნული თავისებურებებისა;

40.2. მასწავლებელი უზიარებს შეძენილ ცოდნასა და გამოცდილებას კოლეგებს და თანამშრომლობს მათთან;

40.3. მასწავლებელი თანამშრომლობს სკოლის უსაფრთხოების სამსახურთან და ითვალისწინებს მის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას;

40.4. მასწავლებელი თანამშრომლობს სკოლის დირექციასთან და თავისი წვლილი შეაქვს სკოლის განვითარებისათვის დაგეგმილ ღონისძიებებში.

თავი მეთორმეტე

მოსწავლეთა, მასწავლებელთა/ სხვა დასაქმებულთა და მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა უფლებების დაცვის გარანტიები

მუხლი 41.

41. მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირების წესი

41.1. მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი უფლებამოსილია გაეცნოს სკოლის შინაგანაწესს, ინფორმაციას მოსწავლის აკადემიური მოსწრების, გაკვეთილების გაცდენა-დაგვიანების შესახებ და სხვა.

41.2. სკოლა-ლიცეუმ „პრომეთეს“ მიერ მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირების და მისი სასკოლო ცხოვრებაში ჩართვის მიზნით გამოიყენება ელექტრონული ჟურნალი, დაწესებულების ვებ-გვერდი, ელექტრონული ფოსტა, სატელეფონო ზარი, პირადი შეხვედრები, მშობელთა კრებები, სოციალური ქსელი, დაწესებულების განცხადებების დაფა და სხვა.

მუხლი 42.

42. მოსწავლეთა, მასწავლებელთა/სხვა დასაქმებულთა და მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა საჩივრის განხილვა

42.1. კანონმდებლობით, სკოლა-ლიცეუმ „პრომეთეს“ დებულებით და შინაგანაწესით გათვალისწინებული უფლებების დარღვევის შემთხვევაში მოსწავლეს, მასწავლებელს/სხვა დასაქმებულს და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვს წერილობითი საჩივრით მიმართოს დირექტორს.

42.2. საჩივარი არ განიხილება, თუკი მასში არ არის მითითებული შემდეგი რეკვიზიტები:

42.2.1. განმცხადებლის ვინაობა და მისამართი;

42.2.2. უფლების დარღვევის არსი;

42.2.3. მოთხოვნის არსი.

42.3. დირექტორის გადაწყვეტილება და მისი ქმედება ან უმოქმედობა შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით.

42.4. სკოლა-ლიცეუმ „პრომეთეში“ შემოსული სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის მონაწილეთა განცხადება/საჩივარი, რომელიც შედგენილია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, რეგისტრაციაში უნდა გატარდეს დადგენილი წესით;

42.5. საჩივრის განხილვის ვადაა 1 თვე. დირექტორის დასაბუთებული გადაწყვეტილების საფუძველზე შესაძლებელია გაიზარდოს 3 თვემდე.

თავი მეცამეტე

მოსწავლის სკოლა-ლიცეუმ „პრომეთეში“ ჩარიცხვის და სკოლა-ლიცეუმ „პრომეთედან“ გადაყვანის პირობები

მუხლი 43.

43. მოსწავლის სკოლა-ლიცეუმ „პრომეთეში“ ჩარიცხვა

43.1. სკოლა-ლიცეუმ „პრომეთეში“ პირველ კლასში ბავშვები ჩარიცხებიან კანონმდებლობით დადგენილი ასაკის მიღწევისას.

43.2. პირველ კლასში ბავშვის ჩასარიცხად მშობელმა/კანონიერმა წარმომადგენელმა უნდა წარმოადგინოს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული დოკუმენტაცია:

43.2.1. მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის განცხადება, რომელიც უნდა შეიცავდეს: მისი საცხოვრებელი ადგილისა და ტელეფონის ნომრის თაობაზე ინფორმაციას, განმცხადებელი პირის ვინაობას, ადრესატს, მოთხოვნას;

43.2.2. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

43.2.3. მოსწავლის დაბადების მოწმობის ასლი

43.2.4. ბინადრობის მოწმობა (უცხო ქვეყნის მოქალაქისთვის-არსებობის შემთხვევაში);

43.2.5. უცხო ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში მოსწავლის დაბადების მოწმობის ან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი;

43.2.6. უცხო ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი.

43.2.7. მოსწავლის 2 ფოტო სურათი 3X4-ზე;

43.2.8. ჯანმრთელობის ცნობა (ფორმა 100);

43.2.9. სავალდებულო აცრების ჩატარების დამადასტურებელი დოკუმენტი;

43.3. დოკუმენტაციის სრულად წარმოდგენის შემთხვევაში დირექტორის მიერ ხდება ბრძანების გამოცემა მოსწავლის პირველ კლასში ჩარიცხვასთან დაკავშირებით. პირველ კლასში მოსწავლის ჩარიცხვისას იხსნება მოსწავლის პირადი საქმე.

43.4. მოსწავლის სტატუსის არმქონე პირის II-XII კლასებში ჩასარიცხად დამატებით წარმოსადგენია მოსწავლის მიერ წინამდებარე კლასის დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტი/ცნობა.

43.5. სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებიდან მობილობის შემთხვევაში წარმოსადგენია შემდეგი დოკუმენტაცია:

43.5.1. განცხადება დირექტორის სახელზე, რომელიც უნდა შეიცავდეს განმცხადებლის საცხოვრებელ ადგილს და ტელეფონის ნომერს, განმცხადებელი პირის ვინაობას, ადრესატს, მოთხოვნას;

43.5.2. მოსწავლის პირადი საქმე/წინა კლასის დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტი;

43.5.3. ინფორმაცია საგნების მიხედვით მიმდინარე შეფასებისა და გაცდენილი საათების შესახებ (სასწავლო წლის განმავლობაში მობილობის დროს);

43.5.4. მოსწავლის დაბადების მოწმობის ან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

43.5.5. მშობლების/კანონიერი წარმომადგენლის პირადობის მოწმობების ასლები;

43.5.6. მოსწავლის ბინადრობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (უცხო ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში, ასეთის არსებობისას);

43.5.7. მშობლის ბინადრობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (უცხო ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში, ასეთის არსებობისას);

43.5.8. სსსმ მოსწავლის მობილობით ჩარიცხვის შემთხვევაში, აუცილებელია შესაბამისი მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნა, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

43.5.9. დოკუმენტების უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში, მათ უნდა დაერთოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შესრულებული თარგმანი ქართულ ენაზე.

43.6. სპეციალიზირებული სკოლებიდან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის დაწყებით და საბაზო საფეხურის ცალკეულ კლასში ჩასარიცხად დამატებით საჭიროა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში არსებული, შესაბამისი სპეციალისტებისაგან შემდგარი ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინური გუნდის გადაწყვეტილება, რომლითაც დასტურდება აღნიშნული მოსწავლის მიერ სიძნელეების დაძლევა, რის გამოც მას არ სჭირდება სპეციალიზირებულ სკოლაში სწავლა.

43.7. უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების შემთხვევაში, პირის ჩარიცხვა ხორციელდება „საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესისა და საფასურების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის №98/ნ ბრძანების შესაბამისად, განათლების აღიარების/აღიარებაზე უარის თქმის დოკუმენტში მითითებული კლასის შესაბამისად, ხოლო თუ განათლების აღიარების/აღიარებაზე უარის თქმის დოკუმენტიდან არ ირკვევა, თუ რომელ კლასში აქვს პირს მიღებული განათლება - ასაკის შესაბამის ან მისი თანხმობის შემთხვევაში, უფრო დაბალ კლასში.

43.8. მოსწავლის კლასიდან კლასში გადაყვანა ხდება დირექტორის ბრძანების საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

43.9. სკოლა-ლიცეუმი პრომეთე უფლებამოსილია მობილობის მსურველის ჩარიცხვის შემდგომ გასაუბრების ან გამოცდის საფუძველზე დაადგინოს მოსწავლის ცოდნისა და უნარების ცალკეული კლასის/კლასების ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი მიღწევის დონესთან თავსებადობა, ცალკეულ საგანში/საგნებში მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობის საჭიროების განსაზღვრის მიზნით.

43.10. დასაშვებია მოსწავლის პარალელურ კლასში გადასვლა. ამ საკითხს მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის განცხადების საფუძველზე წყვეტს დირექტორი.

თავი მეთოთხმეტე ექსკურსია

მუხლი 44.

44. ექსკურსიის ორგანიზება, პასუხისმგებელი პირები

44.1. კლასის დამრიგებლის/მშობლის ინიციატივით, სკოლა-ლიცეუმ „პრომეთეს“ დირექციასთან შეთანხმებით, შესაძლოა მოეწყოს ექსკურსია;

44.2. ექსკურსიის შესათანხმებლად კლასის დამრიგებელი/მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი წერილობით მიმართავს დირექტორს და ავსებს განაცხადს, რომელსაც უნდა დაურთოს, მძღოლის პირადობის მოწმობისა, მართვის მოწმობის, ასევე გადამზიდავი კომპანიის ტრანსპორტის გამართულობისა და ტექნიკური გამართვიანობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლები.

44.3. ექსკურსიის დროს აუცილებლად უნდა იქნეს დაცული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს რეკომენდაციები და „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეთა ექსკურსიების განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 31 მაისის N719 ბრძანების მოთხოვნები.

44.4. პასუხისმგებლობა ექსკურსიის ორგანიზებულად ჩატარებასა და მოსწავლეთა უსაფრთხოებაზე ეკისრება ორგანიზატორ პირს/დამრიგებელსა და სკოლა-ლიცეუმ „პრომეთეს“ დირექციას.

თავი მეთხუთმეტე შრომითი დისკრიმინაციის აკრძალვა

მუხლი 45.

45. შრომითი დისკრიმინაციის ცნება

45.1. დისკრიმინაცია არის განზრახ ან გაუფრთხილებლობით პირის განსხვავება ან გამორიცხვა ან მისთვის უპირატესობის მინიჭება რასის, კანის ფერის, ენის, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, ეროვნების, წარმოშობის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, შრომითი ხელშეკრულების სტატუსის, საცხოვრებელი ადგილის, ასაკის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, შეზღუდული შესაძლებლობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, რელიგიური, საზოგადოებრივი, პოლიტიკური ან სხვა გაერთიანებისადმი (მათ შორის, პროფესიული კავშირისადმი) კუთვნილების, ოჯახური მდგომარეობის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების გამო ან სხვა ნიშნით, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს დასაქმებასა და პროფესიულ საქმიანობაში თანაბარი შესაძლებლობის ან მოპყრობის უარყოფას ან ხელყოფას;

45.2. პირდაპირია დისკრიმინაცია, როდესაც ამ მუხლის 46.1 პუნქტით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო პირის მიმართ ხორციელდება არათანაბარი მოპყრობა სხვა პირთან შედარებით, რომელიც იმავე ან მსგავს მდგომარეობაში არის, იყო ან შეიძლებოდა ყოფილიყო უფრო ხელსაყრელი მოპყრობის ობიექტი.

45.3. ირიბია დისკრიმინაცია, როდესაც ნეიტრალური დებულება, კრიტერიუმი ან პრაქტიკა ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო პირს

სხვა პირთან შედარებით არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი დებულება, კრიტერიუმი ან პრაქტიკა ობიექტურად არის გამართლებული კანონიერი მიზნით და გამოყენებული საშუალებები ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელი და თანაზომიერია.

45.4. დამსაქმებელი ვალდებულია ქალი და მამაკაცი დასაქმებულების მიერ თანაბარი სამუშაოს შესრულების შემთხვევაში უზრუნველყოს მათთვის თანაბარი შრომის ანაზღაურების გადახდა.

45.5. სამუშაო ადგილზე შევიწროება (მათ შორის, სექსუალური შევიწროება) არის დისკრიმინაციის ფორმა, კერძოდ, პირის მიმართ ამ მუხლის 45.1 პუნქტით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნით განპირობებული არასასურველი ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს მისი ღირსების შელახვას და მისთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას.

45.6. სექსუალური შევიწროება არის პირის მიმართ არასასურველი სექსუალური ხასიათის ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს ან/და იწვევს მისი ღირსების შელახვას და ქმნის მისთვის დამაშინებელ, მტრულ, დამამცირებელ, ღირსების შემლახველ ან შეურაცხმყოფელ გარემოს.

შენიშვნა: ამ შინაგანაწესის მიზნებისთვის სექსუალური ხასიათის ქცევა არის პირისთვის სექსუალური ხასიათის ფრაზების თქმა ან/და ასეთი ფრაზებით მიმართვა, გენიტალიების ჩვენება ან/და ნებისმიერი სხვა სექსუალური ხასიათის არასიტყვიერი ფიზიკური ქცევა.

45.7. აკრძალულია დასაქმებულისთვის შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა ან/და დასაქმებულის მიმართ ნებისმიერი სახის უარყოფითი მოპყრობა და მასზე ზემოქმედება იმის გამო, რომ დასაქმებულმა დისკრიმინაციისგან დასაცავად განცხადებით ან საჩივრით მიმართა შესაბამის ორგანოს ან ითანამშრომლა მასთან.

მუხლი 46.

46. დისკრიმინაციის აკრძალვის ფარგლები

46.1. აკრძალულია დისკრიმინაცია შრომით ურთიერთობასა და წინასახელშეკრულებო ურთიერთობაში (მათ შორის, ვაკანსიის შესახებ განცხადების გამოქვეყნებისას და შერჩევის ეტაპზე), დასაქმებასა და პროფესიულ საქმიანობაში. დისკრიმინაციის აკრძალვა, მათ შორის, ვრცელდება:

46.1.1. წინასახელშეკრულებო ურთიერთობისას შერჩევის კრიტერიუმებსა და დასაქმების პირობებზე, აგრეთვე კარიერული წინსვლის ხელმისაწვდომობაზე, პროფესიული იერარქიის ყველა საფეხურზე, საქმიანობის სფეროს მიუხედავად;

46.1.2. პროფესიული იერარქიის ყველა საფეხურზე პროფესიული ორიენტაციის, კვალიფიკაციის ამადლების, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების ყველა ფორმის (პრაქტიკული პროფესიული გამოცდილების ჩათვლით) ხელმისაწვდომობაზე;

46.1.3. შრომის, შრომის ანაზღაურებისა და შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის პირობებზე;

46.1.4. დასაქმებულთა გაერთიანების, დამსაქმებელთა გაერთიანების ან ისეთი ორგანიზაციის წევრობასა და საქმიანობაზე, რომლის წევრებიც განსაზღვრულ პროფესიულ ჯგუფს განეკუთვნებიან, ამ ორგანიზაციიდან მიღებული სარგებლის ჩათვლით;

46.1.5. სამსახურებრივი სოციალური დაცვის პირობებზე, მათ შორის, სოციალური უზრუნველყოფისა და ჯანმრთელობის დაცვის პირობებზე.

მუხლი 47.

47. სამუშაოსთვის დამახასიათებელი მოთხოვნები

დისკრიმინაციად არ მიიჩნევა პირის განსხვავების აუცილებლობა, რომელიც გამომდინარეობს სამუშაოს არსიდან ან სპეციფიკიდან ან მისი შესრულების პირობებიდან, ემსახურება კანონიერი მიზნის მიღწევას და არის მის მისაღწევად აუცილებელი და თანაზომიერი საშუალება.

მუხლი 48.

48. მტკიცების ტვირთი

დისკრიმინაციის აკრძალვასთან დაკავშირებული დავის შემთხვევაში მტკიცების ტვირთი დამსაქმებელს ეკისრება, თუ კანდიდატი ან დასაქმებული მიუთითებს იმ ფაქტებზე ან/და გარემოებებზე, რომლებიც ქმნის საფუძველს გონივრული ვარაუდისთვის, რომ დამსაქმებელმა დისკრიმინაციის აკრძალვის შესახებ მოთხოვნა დაარღვია.

მუხლი 49.

49. დაცვის ან მხარდაჭერის განსაკუთრებული ღონისძიებები

დისკრიმინაციად არ მიიჩნევა განსაკუთრებული ღონისძიებები, რომლებიც ხორციელდება იმ პირთა საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, რომლებიც, ჩვეულებრივ, აღიარებულია, რომ, ასაკის, სქესის, შეზღუდული შესაძლებლობის, ოჯახური პასუხისმგებლობის, სოციალური ან კულტურული სტატუსის გათვალისწინებით, განსაკუთრებულ დაცვას ან მხარდაჭერას საჭიროებენ.

მუხლი 50.

50. გონივრული მისადაგება

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მიმართ თანაბარი მოპყრობის პრინციპის, კერძოდ, გონივრული მისადაგების პრინციპის, დაცვის მიზნით დამსაქმებელი ვალდებულია საჭიროების შემთხვევაში განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები, რათა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს ჰქონდეს თანაბარი შესაძლებლობა დასაქმების, კარიერული წინსვლის, კვალიფიკაციის ამაღლების, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების ხელმისაწვდომობისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი ღონისძიება დამსაქმებელს არაპროპორციულ ტვირთს აკისრებს. ეს ტვირთი არაპროპორციულად არ მიიჩნევა, თუ კონკრეტულ ღონისძიებასთან დაკავშირებით მოქმედებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამები, შეღავათები ან/და სხვა, ალტერნატიული საშუალებები.

თავი მეთექვსმეტე დასკვნითი დებულებანი

მუხლი 51.

51. შინაგანაწესში ცვლილებების შეტანა

51.1. შინაგანაწესს ბრძანებით ამტკიცებს დირექტორი;

51.2. შინაგანაწესის გაუქმება ან მასში ცვლილების შეტანა ხდება მისი დამტკიცებისათვის განსაზღვრული წესით.